პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წელიწადი მეორე

კომუნისტი

ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4.
რედაქციის მიღება საქმისათვის ყოველდღე გარდა კვირა უქმეებისა დილის 9—2 ს. ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 სარ. №

მთავარი კანტორა: ტფილისი, რუსთაველის პრ., № 24 მე-2 სართული).
ხელის მოწერის თვიური ფასი შემდეგია: საქართველოში 100.000 მ. ქართ. ბონებით. სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 250 მ. 1922 წ. ნიშნებით. განცხადება—10 ათ. მ. ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათასი მ. ტელეფონის № კანტორისა № 5—48.

ფასი 5000 მ.
ქართ. ბონებით ყველგან

№ 212 შაბათი, 16 სექტემბერი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი შაბათი, 16 სექტემბერი 1922 წ. № 212

26 კომუნარის ხსოვნას

ა. წ. 20 სექტემბერს სრულდება 4 წელიწადი, დღიდან ინგლისის და ადგილობრივ თეთრგვარდიელების მიერ

ბაქოს 26 კომისარის ამხ. ს. შაუმიანის, ა. ჯაფარიძის და სხვათა ვერაგულად დახვრეტისა.

რედაქცია დაბეჯითებით სთხოვს ყველა ამხანაგებს გამოგზავნონ რედაქციაში წერილები, მოგონებანი, ბიოგრაფიები დახვრეტილ კომუნარების ხსოვნის აღსანიშნავად.

ასეთების გამოგზავნის უკანასკნელი ვადა არის 18 სექტემბერი.

ორშაბათს და სამშაბათს, 18 და 19 სექტემბერს ყველა რაიონებში გაიმართება კრებები

ბაქოს 26 კომისრების ხსოვნის აღსანიშნავად

20 სექტემბერს „26 კომისარის“ დახვრეტის დღეს რუსთველის თეატრში გაიმართება სამოქალაქო პანაშვიდი საღამოს 7 საათზე „26 კომისარის“ დაღუპვის ხსოვნის აღსანიშნავად.

პანაშვიდში ყველა ორგანიზაციებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა.

ცენტრალურ აღმასკომის სესია

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასკომის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად ამა წლის სექტემბრის 30 თვის მოწვეულია სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მორიგი სესია, შემდეგი დღიური წესრიგით:

1) მოხსენება ს—ს ცაკის პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ (მომხსენებელია ფ. მახარაძე).
2) პროექტი სამაზრო და თემთა აღმასკომების რეორგანიზაციის შესახებ (მომხსენებელია შინ. საქმეთა სახ. კომის. ს. გეგეჭკორი).
3) მიწად-მოწყობის დებულების შეცვლისა და დამატების შესახებ (მომხსენებელია მიწად-მოქმედებას სახ. კომ. ს. თოდრია).
4) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი (მომხსენებელია ს. ქავთარაძე).
5) პროექტი დებულებისა ადვოკატურის შესახებ. (მომხსენებელია ს. ქავთარაძე).
6) პროექტი დებულებისა პროკურატურის შესახებ (მომხსენებელია ს. ქავთარაძე).
7) საერთო დებულება გადასახადთა სისტემის შესახებ (მომხსენებელია ფინანსთა სახ. კომისარი).
8) მოხსენება შიმშილზე (მომხსენებელია ფ. მახარაძე).

რადგან განსახილველი საკითხი ფრიად საყურადღებოა, დასწრება ცაკის ყველა წევრებისათვის აუცილებელია.

0—1 **ს—ს ცაკის პრეზიდიუმი.**

შაბათს, 16 სექტემბერს დღის 3 საათზე საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტის შენობაში გაიმართება.

თბილისის კომიტეტის პლენუმის სხდომა

ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

თბილისის კომიტეტის მდივანი **კახიანი.**

შაბათს, ა. წ. 16 სექტემბერს საღამოს 6 საათზე, ქალაქის აღმასკომის შენობაში შესდგება

თბილისის ქალაქის საბჭოს აღმასკომის

მორიგი სხდომა

სავალდებულოა ყველა წევრთათვის თავის დროზე დასწრება.

(320—1—1). მდივანი **ხუნდაძე.**

ორშაბათს, 19 სექტემბერს საღამოს 6 საათზე ყოფილ ზუბალოვის სახელობის სახალხო სახლის შენობაში შესდგება

ტფილისის ქალაქის საბჭოს პლენუმის მორიგი სხდომა

დღის წესრიგი:

1. ახლო აღმოსავლეთის ამბები.
2. ქალაქის აღმასკომის კომუნალური პოლიტიკა.

სავალდებულოა ყველა წევრთათვის თავის დროზე გამოცხადება.

2—1 321. მდივანი **ხუნდაძე.**

სასურსათო გადასახადის კამპანია

13 სექტემბრისათვის მიღებული ოფიციალურ-დოკუმენტალური ცნობებით, რომელიც მოთავსებული იყო ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში, აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც დაწყებულია ნატურ გადასახადის შეგროვება, ხორბლის ერთეულით აკრეფილია სულ 185,332 ფუთი. ყველაზე მეტი აკრეფილია თელავის, გორის, სიღნაღის, თბილისის მაზრებში და სამხრეთ-ოსეთში (ფუთობით—36,180; 58.853; 40,262; 22 900; 9,762; პროცენტის მიხედვით—60.3; 58 8; 40.2; 48,8; 32,7;) შემდეგ მისდევენ: თიანეთის, ახალციხის, დუშეთის და ბორჩალოს მაზრები (3.608 ფ., 8.731, 3.094 და 2.937 ფ.; პროცენტის მიხედვით—18.0, 14.5, 8 5, 2.4).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ მაზრებში (დუშეთის და თიანეთის) სასურსათო კამპანიის ნორმალურად ჩატარებას ხელი შეუშალა, სხვათაშორის, ბანდიტების მოქმედებამ, რაც არღვევდა მაზრების მყუდრო ცხოვრებას და აძნელებდა კერძოდ სასურსათო აპარატის საქმიანობას.

ამ ბანდიტურ გამოსვლებს, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ ყოფილი თავადები და სოფლის კულაკები, მიზნად ჰქონდა ნატურ გადასახადის კამპანიის ჩაფუშვა და საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიურ მდგომარეობის გამწვავება. მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების ენერგიული ზომებით თითქმის მოეღო ბოლო თავზე ხელაღებულ ნაძირალების „მოღვაწეობას“, და, ეჭვი არ არის, სასურსათო გადასახადის აკრეფის საქმე აწი უფრო ნაყოფიერად იწარმოებს. ეს მით უმეტეს, რომ მშრომელ გლეხობას სავსებით აქვს შეგნებული თავისი საგადასახადო ვალდებულება მუშურ გლეხურ სახელმწიფოს წინაშე, მას ესმის ნატურ-გადასახადის მთელი მნიშვნელობა.

იგი მიუხვდა კულაკებს, რომელთაც მხოლოდ თავიანთი კლასიური ეგოიზმი ალაპარაკებთ, არ წამოეგო მათ ანკესზე; ამიტომ ნებაყოფლობით და უდრტვინველად შემოაქვს ის ფრიად მცირე გადასახადი, რომელიც მაზეა გაწერილი.

ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ საქმეს, კერძოდ ხორბლეულის მოზიდვას საწყობებში აფერხებს უგზოობა, სატრანსპორტო საშუალებათა ნაკლებობა და სხვა ტეხნიკური დაბრკოლებანი

საერთოდ კი, იმ მასალების მიხედვით სასურსათო გადასახადის კამპანიის მსვლელობის შესახებ, რომელიც ჩვენს განკარგულებაში იმყოფება, შეიძლება ითქვას, რომ გაწერილი გადასახადის სულ 100 პროც. იქნება შეკრეფილი აღმოსავლეთ საქართველოში.

ცოტა სხვა ნაირი მდგომარეობა შეიქმნა დასავლეთ საქართველოში.

როგორც ვიცით, იქ ამას წინედ მოსულმა ნიაღვარმა დიდი ზარალი მიაყენა ჭირნახულს. ბევრ ადგილას თითქმის სულ წალეკა, ან საგრძნობლად გააფუჭა სიმინდის ყანები.

ამასთან დაკავშირებით ალბად მოგვიხდება ზოგიერთ ალაგას სასურსათო გადასახადის განაკვეთების შეცვლა, შემცირება და მისგან სრული განთავისუფლებაც კი სტიქიისაგან უფრო დაზარალებულ მშრომელ მეურნე გლეხკაცობის. და აქ სასურსათო სამეულებს და სხვა სათანადო ორგანოებს მართებთ დიდი სიფრთხილით და დაკვირვებით ამ ზარალის გამორკვევა და მიღებული შედეგების მიხედვით, განზრახულ განაკვეთების შეცვლა—გადანაწილება.

თვით გადასახადის აკრეფის დროს ჩვენი ყურადღება უნდა იყოს მიქცეული არა მარტო მისი სისრულით აღებაზე, არამედ ამ ასაღებ ხორბლეულის თვისებაზედაც. შეიძლება ვინმე შეეცდება მდარე ღირსების ან გაფუჭებულ ხორბლეულის შემოჩეჩებას.

ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ნატურ გადასახადიდან აკრეფილი ხორბლეულით უნდა გამოკვებოთ ჩვენი მუშა მოსამსახურენი და ჯარი, ან შეიძლება ამ ფონდიდან მოგვიხდეს სათესლეს გაცემა, ამიტომ ის უნდა იყოს რაც შეიძლება მაღალი ხარისხის.

სასურსათო გადასახადის სავსებით აკრეფა, რამდენადაც ეს ობიექტიურად შესაძლებელია, და აკრეფა სწორედ კარგი ღირსების ხორბლეულის, ისევ დგას ჩვენი სადღეისო ამოცანათა პირველ რიგში.

საქმის დასაწყისი და მიმდინარეობა ჯერჯერობით საერთოდ დამაკმაყოფილებელია. ჩვენი ენერგია აწიც არ უნდა შენელდეს, პირიქით ამ მიმართულებით მუშაობა უფრო უნდა გავაძლიეროთ. თავდადებული მუშაობით და მშრომელი მასსების დახმარებით ჩვენ შევძლებთ ამ სფეროში სასურველ შედეგების მიღწევას.

ანარქიზმი და საბჭოთა მთავრობა

„როტეფანე“-ში დაბეჭდილია კარლ რადეკის წერილი „ანარქიზმი და საბჭოთა მთავრობა“. ამ წერილში ამხ. რადეკი წერს:

„რა დამოკიდებულებაშია პროლეტარული კომუნიზმი ანარქიზმის მიმართ? ანარქიზმის ყველა მიმართულებისა და განმარტებებიდან რო ავიღოთ არსებითი მხარე, აღმოჩნდება, რომ ანარქიზმი მდგომარეობს სახელმწიფოს ძალა-უფლების და ეკონომიურ ცენტრალიზაციის უარყოფაში. როგორც ერთი, ისე მეორეც გამომდინარეობს საზოგადოების განვითარების სრული გაუგებრობიდან, და ამიტომ დამოკიდებულება მისდამი კომუნიზმისა, როგორც წმინდა ისტორიულ მოძღვრების, რომელიც ემყარება ისტორიულ გამოცდილებას და იცავს მუშათა კლასის ინტერესებს მისი ისტორიულ მისწრაფებათა ნიადაგზე,—შეიძლება იყოს მხოლოდ უარყოფითი.

კაპიტალიზმი არ წარმოადგენს მარტო ერთ დამონებას მუშათა კლასისას, არამედ წარმოადგენს ბუნების ძალთა უტილიზაციასაც ადამიანის სასარგებლოდ.

ჯერ ისე არასოდეს არ ყოფილა ბუნების ძალები დამორჩილებულნი ადამიანისადმი, როგორც კაპიტალიზმის ეპოქაში. კაპიტალიზმმა დაიმონა ორთქლის და ელექტრონის ძალა და მათი საშუალებით შეაკავშირა დედამიწის ერთმანეთზე დაშორებული პუნქტები. კაპიტალიზმი კვებავს ჩინეთის ბრინჯით გერმანელ მუშებს, დიდი ბრიტანეთის მოსახლეობას აწვდის ციმბირის ზეთს, რუსეთის ხალხს ეხმარება დაამუშავოს ბუნების სიმდიდრენი ამერიკის მანქანებით, აძლევს კაცობრიობას სამხრეთ ამერიკის ოქროს, ანათებს „თვითმჭამლების“ ქოხებს პენ სილვანის ნავთით. კაპიტალიზმმა დაიმორჩილა მანძილი ტელეგრაფით და ტელეფონით, გადააქცია მსოფლიო საერთო ბუღლად, საერთო სახელოსნოდ.

მაგრამ თავის პროცესში მთელი კაცობრიობის ერთ საზოგადოებად გაერთიანებისა, სადაც ერთი ნაწილი მჭიდროდ დაკავშირებულია მეორესთან, და ამავე დროს სავსებით დამოკიდებულია ერთი მეორისაგან, კაპიტალიზმმა მთელი მსოფლიოს მშრომელები გაადაქცია მეორე კლასის, და არა თუ კლასის, ტრესტების მცირე ჯგუფის მონებად.

პროლეტარიატი იბრძვის ბუნების და ადამიანის ძალის ექსპლოატაციის წინააღმდეგ ამ, 300—400 კაცისაგან შემდგარ ჯგუფის მიერ, რომლის ხელში, რატენაუს სიტყვებით, იმყოფება მთელი ძალა უფლება დედა მიწაზე

პროლეტარიატი ისწრაფვის თავის ხელში ჩაიგდოს და გამოიყენოს თავის, და არა ერთი მუჭა მჩაგვრელების, სასარგებლოდ მშრომელების ღონისძიებით და ოფლით დამორჩილებული ბუნების ძალები.

მაგრამ მუშათა კლასმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვას დაშლა კაპიტალიზმის მიერ შექმნილ მძლავრი აპარატისა, რომელიც ერთ მთელში აერთებს მთელი მსოფლიო სახელოსნოებს, რომელიც აერთიანებს მთელ კაცობრიობას ერთი მისწრაფებით—დაიმორჩილოს ბუნების ძალები.

პირიქით: მუშათა კლასი ისწრაფვის ყველა მშრომელთა ინტერესებისათვის განამტკიცოს მუშათა კადრების ურთიერთი დამოკიდებულება, გააძლიეროს ეს, მთელი მსოფლიოს შემცველი აპარატი.

სამრეწველო მეფეების თითეული ჯგუფი, რომელსაც მფარველობს სახელმწიფოებრივი ძალაუფლება ისწრაფვის დაიპყროს მთელი მსოფლიო მხოლოდ თავისთვის, მოსპოს კონკურენცია, ხელში ჩაიგდოს მონოპოლია რომელიმე ერთი ქვეყნის კაპიტალისტებისათვის. და თუ ეს შეუძლებელია, ეს ჯგუფი ცდილობს ამოგლიჯოს ცოცხალ საერთო ორგანიზმიდან ნაწილი, რომელიც იქნება მარტო მის განკარგულებაში. და რათა შემოზღუდოს თავისი სამფლობელოები, ის იცავს მათ ბაჟებით, ტყვიისმფრქვევლებით და ზარბაზნებით.

და თუ პროლეტარიატს უნდა თანამედროვე კაპიტალისტურ კულტურის ნანგრევებზე აღმოცენებულ სიმშილის და სიცივის ზრდის აცილება, ის გამოგლეჯს რა ძალაუფლებას კაპიტალს, უნდა მოსპოს ყველა ხელოვნური ზღუდეები, რომელიც შექმნილია სხვა და სხვა ქვეყნების ეკონომიურ ორგანიზაციებ შორის, უნდა დაამთავროს ეკონომიურ ცენტრალიზაციის განვითარების პროცესი.

საერთაშორისო პროლეტარიატი მხოლოდ იქ აამოძრავებს მთელ თავის სამუშაო ძალას სავსებით, სადაც იქნება საჭირო პირობები. ის არ დაიწყებს თესვას ქვიან ნიადაგზე. ან ფოლადის ჩამოსხმას იქ სადაც არ არის შესაფერი ნედლი მასალა, აქედან ლოღიკურად გამომდინარეობს, რომ მუშათა კლასი არავითარ შემთხვევაში არ დაანგრევს კაპიტალიზმის მიერ შექმნილ აპარატს. ის შეეცდება გააძლიეროს მუშების ძალაუფლება, რომელიც წარმართავს კაცობრიობას მის მისწრაფებაში—ყოველგვარი გაჭირვების მოსპობისაკენ.

მაგრამ ჩვენ ვიბრძვით ერთიანი ცენტრალური ეკონომიური ხელისუფლებისათვის, ხელისუფლებისათვის, რომელიც წარმართავს მთელი კაცობრიობის მწარმოებელ ძალებს არა მარტო შორეულ ბუნდოვან მომავალში. ჩვენ ვიბრძვით და მოვითხოვთ ერთიან ცენტრალურ ხელისუფლებას სწორედ სოციალურ რევოლიუციის ეპოქაში, ხანაში, როცა კიდევ ბრძანებლობს ბურჟუაზია.

რათა გვქონდეს შესაძლებლობა საჭირო მომენტში ყველა ძალებით შევესიოთ ჩვენს მჩაგვრელებს, რათა შევინარჩუნოთ ეს ძალები რევოლიუციის მძლავრი შეტევისათვის, საჭიროა ცენტრალური, რევოლიუციონური ხელისუფლება, რომელიც წარმართავს მებრძოლ მშრომელ ხალხის შეერთებულ ძალებს ბურჟუაზიის და მისი დამქაშების ასალაგმავად.

რევოლიუციის დაცვა ცენტრალური რევოლიუციონური ხელისუფლების გარეშე წარმოუდგენელია, და ჩვენ ვხედავთ, მაგალითად, რუსეთში რომ გლეხების და მუშების დიდმა უმრავლესობამ ეს მშვენივრად შეიგნო. საბჭოთა ყრილობამ, რომელიც უეჭველად გამოხატულია მუშების და გლეხთა მასსების ნებისყოფის, გადასცა ისეთი ფართე რწმუნებები სახალხო კომისარებს. როგორც არ აქვს არც ერთ მთავრობას ჩვენი მოწინააღმდეგენი ლაპარაკობენ რაღაც საბჭოთა თვითმპყრობელობაზე. ეს რა თქმა უნდა, ლაყბობაა. თვითმპყრობელობა, რომელიც ემყარება მხოლოდ სახალხო კომისარების ძალაუფლებას, არის უკვე ხალხის მპყრობელობა, არის უკვე დემოკრატია ამ სიტყვის საუკეთესო აზრით. მაგრამ ამასთან ესაა ხელისუფლება ისეთი ხალხის, რომელსაც შეგნებული აქვს, რომ ის ყოველმხრიდან გარშემორტყმულია მტრებით და რომ მან უნდა გააერთიანოს ყველა თავისი ძალები, რათა დაამარცხოს ეს მტრები.

არ არის რევოლიუცია მშრომელ ხალხის ფართე მასსის მონაწილეობის გარეშე, და საბჭოები წარმოადგენენ ამ მასსების ხელისუფლების ორგანოს, და საბჭოთა რევოლიუცია ბევრი ხანია უკვე ჩახშობილი იქნებოდა რეაქციის ძალების მიერ, რომ მას არ ჰქონოდა მეომარი ცენტრალური ორგანო, რომელმაც შექმნა მთავრობა, ე. ი. ის სახელმწიფოებრივი ხელისუფლება. რომელიც აერთიანებს და ხელმძღვანელობს საბჭოების ყველა ძალებს. თუ ეს ასეა, მაშინ ანარქიზმის მოძღვრება, რომელიც ამბობს, რომ რევოლიუციაში ყველაფერი უნდა იყოს აშენებული მასსების დამოუკიდებლობაზე და რომ მუშათა მთავრობა დაუშვებელია,—ეს მოძღვრება მიმართულია მშრომელ ხალხის ინტერესების წინააღმდეგ, რევოლიუციის წინააღმდეგ, ეს კონტრ რევოლიუციონური მოძღვრებაა. ჩვენ ცხადად გვქონდა შეგნებული, რომ ანარქისტული მისწრაფებანი ატარებენ საფრთხეს რევოლიუციისათვის; ამიტომაც არ მივეცით სრული თავისუფლება ამ მისწრაფებათა გავრცელებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ თითეული პატიოსანი ანარქისტები მტკიცედ არიან დარწმუნებულნი, რომ ისინი ემსახურებიან მასსების განთავისუფლების იდეებს,—ისინი მეტ წილად ემსახურებიან ბურჟუაზიულ რესტავრაციის საქმეს.

რო გავითვალისწინოთ ანარქიზმის განვითარების ისტორია, ცხადი გახდება, რომ ანარქიზმი გავრცელებულია არა გერმანიაში და არც ინგლისში—ძლავრად განვითარებულ კაპიტალიზმის ქვეყნებში. ის გავრცელებულია კაპიტალისტურად შედარებით უფრო ჩამორჩენილ ქვეყნებში—ისპანიაში, იტალიაში. ანარქიზმის განვითარება შეერთებულ შტატებში მხოლოდ მოჩვენებითია, ვინაიდან იქ თავის მიმდევრებს ის ჰპოულობს უმთავრესად ისპანელ, იტალიურ და რუს ემიგრანტებში. და ცხადია რატომ. იმ ქვეყნების პროლეტარიატს, სადაც შრომა აერთიანებს მუშათა მასსებს გრანდიოზულ წარმოებებში, სადაც მის თვალწინ მოქმედებს უზარმაზარი და უმთელესი აპარატი, რომელიც ემორჩილება ერთიან ძალას,—ამ ქვეყნების პროლეტარიატს მშვენივრად აქვს შეგნებული, რომ წარმოებისათვის საჭიროა ერთიანი ცენტრალური აპარატი, ერთიანი, შრომის სავსებით განმკარგულებელი ხელისუფლება. მძლავრად განვითარებულ კაპიტალიზმის ქვეყნების პროლეტარიატს ესმის და გათვალისწინებული აქვს, რომ ბურჟუაზია არსებობს, როგორც მჭიდროდ შეკავშირებული და დარაზმული ხელისუფლება და მის დასაძლევად საჭიროა პროლეტარიატის ყველა ძალების გაერთიანება და ცენტრალიზაცია. მას ესმის, რომ გამარჯვება ბურჟუაზიაზე წარმოუდგენელია პროლეტარიატის დიქტატურის გარეშე, ე. ი. სახელმწიფოებრივი რევოლიუციონური ხელისუფლების გარეშე, რომელიც გააერთიანებს და შეადუღებს მუშათა მასსების ყველა ძალებს კაპიტალისტურ ურთიერთობათა დასაძლევად და ბურჟუაზიის წინააღმდეგობის საბოლოოდ გასატეხად. ისპანიის ან იტალიის მუშების თვალში, სადაც ბურჟუაზიამ ვერ შექმნა მუშათა მძლავრი ცენტრი ან გრანდიოზული ორგანიზაციები, სახელმწიფო მოსჩანს ადამიანის შემთხვევითი ხელოვნურ გამოგონებად, მათ ეჩვენებათ, ბურჟუაზიას რომ თავის დროზე არ შეექმნა ასეთი აპარატი,—სამუშაო ხელფასის უღლიდან განთავისუფლება გაცილებით უფრო ადვილად მისაღწევი იქნება. და რაკი სახელმწიფო არის სხვა არაფერი, თუ არ ჩაგვრის ორგანიზაცია, ის უნდა იქნეს დანგრეული. ისინი არ ითვალისწინებენ, მათ არ გაეგებათ, რომ ბურჟუაზიის მოსასპობად დროებით უნდა შეიქნას მუშათა ხელისუფლება, მუშათა სახელმწიფო.

ერთიანი პროლეტარული ცენტრალური ხელისუფლების უყულობა—ესაა სწორედ სრული თვითნებობის ასპარეზი, როცა თვითეული პირი მოქმედებს საკუთარი შიშის ქვეშ და მარტო თავისთვის. და მხოლოდ ბოლშევიკებმა, მუშურ-გლეხურ მთავრობის შედგენით, გამონახეს სწორი გზა მთლიანად მთელი მუშათა კლასის ინტერესების უზრუნველსაყოფად და დასაცავად“.

რადიო-დეპეშები

ოსმალეთ საბერძნეთის ომი

ინგლისის ნოტა საფრანგეთს.

მოსკოვი. 14 სექტ. (რადიო). ბორდოდან მიღებულ ცნობების თანახმად ინგლისის მთავრობამ გადასცა საფრანგეთის მთავრობას ნოტა განცხადებით, რომ ინგლის იმედი აქვს კონსტანტინეპოლის და გალიპოლის დაცვაში მოკავშირეების დახმარებისა. საფრანგეთი როგორც ინგლისი, ისევ დაიცავს სრუტეების თავისუფლების პრინციპს.

ცენზურა საბერძნეთში.

მოსკოვი. 14 სექტ. (რადიო). საბერძნეთში შემოიღეს ყველა გაზეთებისათვის სასტიკი ცენზურა.

საფრანგეთის და ინგლისის სოლიდარობა.

მოსკოვი. 14 სექტ (რადიო). საფრანგეთის წარმომადგენელმა ინგლისში აცნობა ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტროს, რომ საფრანგეთის მთავრობა ეთანხმება ინგლისის სრუტეების თავისუფლების დაცვის საკითხში.

ქრისტიანულ უმცირესობათა ინტერესების დაცვა.

მოსკოვი. 14 სექტ. (რადიო). ქემალ ფაშამ პირადათ აიღო თავის თავზე ქრისტიანულ უმცირესობათა ინტერესების დაცვა და უზრუნველჰყო ისინი სურსათის მიწოდებით.

ოსმალეთი—თავისუფალი ქვეყანაა.

მოსკოვი. 14 სექტ. (რადიო). როგორც სტამბოლიდან იტყობინებიან ძლევამოსილ ოსმალეთს გადაწყვეტილი აქვს დარჩეს თავისუფალი და დაიტოვოს თავისთვის კონსტანტინეპოლი, ოსმალეთი მოითხოვს სრუტეების ყოველ გვარ კონტროლზე უარის თქმას და იმედი აქვს, რომ ინგლისი უარს იტყვის ამ კონტროლზე, ვინაიდან ოსმალეთი არ შეადგენს ინგლისის კოლონიას.

ბერძნები სტოვებენ მცირე აზიას.

მოსკოვი. 14 სექტ. (რადიო) ბერძნების ორი არმია უკვე წავიდა მცირე აზიიდან, სადაც ჯერ ჯერობით კიდევ დარჩა 60.000 საბერძნეთის ჯარისკაცი.

მოკავშირეთა ესკადრის წასვლა.

მოსკოვი. 14 სექტ. მოკავშირეთა საზღვაო ძალებმა, რომელნიც სმირნასთან იყვნენ დასტოვეს ქალაქი.

საფრანგეთის ჯარების მიერ ნაპირის დაჭერა.

მოსკოვი. 14 სექტ (რადიო). საბერძნეთის ჯარის მიერ განთავისუფლებული მარმარილოს ზღვის ნაპირი დაიჭირა საფრანგეთის ჯარებმა ჯერ კიდევ ქემალისტების ჯარების მოსვლამდე.

სტამბოლის ირგვლივ

ჰანოვერი. 14 სექტემბერი. „დეილი გერალდი“ აცხადებს, რომ ლონდონის ცნობების მიხედვით ინგლისი დარდანელისადმი საკუთარი ინტერესების გამო დაიცავს სრუტეებს ან სხვა მოკავშირეების დახმარებით ან საკუთარი ძალებით.

ჰანოვერი. 14 სექტემბერი. ლონდონის ცნობების მიხედვით, ინგლისის მთავრობამ სამშაბათს გადასცა საფრანგეთის მთავრობას მემორანდუმი, რომლის ძალით სტამბოლის უმაღლესი კომისრები უნდა იქნენ აღჭურვილნი სრული უფლებით სასწრაფო სამხედრო და აგრეთვე სტამბოლისა და სრუტეების საკითხებში.

ჰანოვერი. 14 სექტემბერი. სტამბოლიდან მიღებულ ცნობების მიერ განთავისუფლებული მარმარილოს ზღვის განაპირა ადგილები დაიკავეს ფრანგებმა.

ნაუენი. 14 სექტემბერი. მოკავშირეთა უმაღლესმა კომისრებმა გასცენ ბრძანება დარდანელის აზიის განაპირა ნეიტრალური ზონის საზღვრებზე აღმართონ მოკავშირეების ფლაგები, რათა დაინახონ ყველამ, რომ ანტანტას განზრახვა აქვს დაიცვოს ეს რაიონები ვისიმე თავდასხმისაგან.

ნარევი

კომუნისტური მოძრაობა დანიაში.

მე-2 ინტერნაციონალის რიგებში დანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას უკავია ყველაზე უფრო მემარჯვენე ფრთა. მისი შემადგენლობის რიცხვი მეტად საგრძნობია (250.000-მდე წევრი), და მის ხელთაა 60 კარგათ მოწყობილი ყოველ დღიური გაზეთი.

ასევეა პროფესიონალური ორგანიზაციებიც. პროფესიონალურ გაერთიანებაში ირიცხება 300.000 წევრი, მის ხელმძღვანელ ორგანოს უკავია უკიდურესი რეფორმისტული მიმართულება.

მის გვერდით არსებული სხვა პროფესიონალური ორგანიზაციები მეტად მცირე და უმნიშვნელო არიან.

1918 წ. რუსეთში და გერმანიაში მომხდარ რევოლიუციონურ ამბების გამო, დანიაში დაარსდა „სოციალისტური მუშათა პარტია.“ პირველათ ის იყო სექტი როგორც ოპოზიცია პარტიის რიგებში დარჩა მაშინ ახალგაზრდობას სოციალ-დემოკრატიული, ახლა კი კომუნისტური კავშირი. სოციალისტური მუშათა პარტია სცემდა ყოველ დღიურ გაზეთს „ციმერვალდენ“ (სოციალისტური მუშათა პარტიაც შეუერთდა მას) მისი შეერთების რამდენიმე ხნის შემდეგ, ახალგაზრდობის კავშირი გაძევებულ იქნა სოციალ დემოკრატიულ პარტიიდან, შეუერთდა შემდეგ სოციალისტურ მუშათა პარტიას, რასაც შედეგათ მოყვა „დანიის მემარცხენე სოციალისტური პარტიის“ დაარსება.

ხელმძღვანელ ორგანოს შიგნით იყო აზრთა სხვა და სხვაობა. ორი მიმდინარეობა ებრძოდა ერთი მეორეს: ერთი გამსჭვალული იყო ზედმეტ პარლამენტარიზმით, მეორე—სინდიკალისტური ტენდეციებით. ეგრეთ წოდებული „პარტიული გადატრიალება“ ამა წლის თებერვალში მდგომარეობდა იმაში, რომ ფედერატიულ ხელმძღვანელ ორგანოს რედაქცია „ჩამოგდებულ“ იქნა ძალდატანებით, პარტიული სტამბები დატაცებული პარტიის წევრების მიერ და დანიშნული ახალი გამგეობა მან მაშინათვე მოიწვია ყრილობა. ერთ და იმავე დროს ჩამოგდებულმა გამგეობამაც (ყოფილ მემარცხენე სოციალისტებიდან) მოიწვია კონგრესი. საქმე იქამდის მივიდა, რომ ორივე პატარა პარტიებს კომინტერნის სექციებათ მოქონდათ თავი და გააფთრებით ებრძოდენ ერთი მეორეს. ასეთი მდგომარეობა იმ ხანაში, როდესაც დანია მწარმოებლების გრანდიოზული შეტევის ასპარეზი გახდა, დაუშვებელი იყო. კომინტერნის აღმასკომმა სპეციალურათ დანიშნა სკანდინავიის კომისია პარტიულ კონფლიქტის ლიკვიდაციასა და პარტიის ერთობის აღდგენისათვის. კომინტერნის აღმასკომმა ბევრი დაბრკოლებები გადალახა და მიიღო განსაზღვრული დადგენილება: ზოგიერთ პირებს, რომლებიც ყველაზე უფრო წინააღმდეგი იყვნენ ორივე ,,პარტიების“ შეერთების, თავიანთ მოვალეობიდან დროებითი გადაყენებით და აგრეთვე მუშაობის განსაზღვრულ პროგრამის დაწესებით, რის შემწეობითაც სექტემბრის დამლევში უნდა მომხდარიყო შეერთება, შეეცადა განსაზღვრული შედეგების მიღწევას. ამ გარდამავალ ხანის განმავლობაში პარტიის სათავეში ჯერჯერობით დგას დროებითი კომიტეტი ორივე მიმდინარეობისაგან შემდგარი.

(მოსკოვის ,,იზვესტია“ № 100).

15 სექტემბრიდან გაზეთებზე დაწესებულია შემდეგი ფასები:

გაზეთების დასახელება	საქართველოში ქართული ბონებით.		სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში 1922 წლ. ფულის ნიშნებით.	
	1 თვით.	1 ოქტ. წლ ბოლომდე.	1 თვით.	1 ოქტ წლ. ბოლომდე.
„კომუნისტი“	100,000	300,000	250,000	750,000
„პრ. გრუზია“	100,000	300,000	250,000	750,000
„კარმ ასტლი“	100,000	300,000	250,000	750,000
„მიწის მუშა“	40,000	120,000	100,000	300,000
„ახალი აზრი“	40,000	120,000	100,000	300,000

წინანდელ ფასებში ხელის მომწერლებს განხვავება ჩაეთვლებათ გაზეთების მიღების ვადის გაგრძელების გზით.

ყველა გაზეთის თითო ცალი ეღირება 5,000 მანეთი.

ზემოდ მოყვანილ ფასების ზევით გაზეთების გაყიდვისათვის დამნაშავენი დაისჯებიან კანონის მიხედვით.

გაზეთის ტრესტის გამგეობა და მთავარი კანტორა

აცნობებს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს და საქართველოს კომპარტიის ყველა წევრებს, რომ 1 ოქტომბრიდან შეწყვეტილ იქნება გაზეთების გაგზავნა საქართველოს კომპარტიის ცეკას ანგარიშზე. თბილისში და პროვინციებში გაზეთების გაგზავნის შეწყვეტის თავიდან ასაცილებლად, წინადადება ეძლევა ყველა პარტიულ ორგანიზაციებს იზრუნონ თავის დროზე გაზეთებზე ხელის მოწერისათვის. **გაზეთები გაიგზავნება მხოლოდ ნაღდი ანგარიშით, გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორის (რუსთაველის პრ. № 24) მიერ ხელის მოწერის ფასის მიღების შემდეგ.**

განცხადება გაზეთების კრედიტით მიცემის შესახებ არ იქნება სახეში მიღებული, ვინაიდან მხოლოდ ხელის მოწერის ფასის თავის დროზე შეტანის საშუალებით შესაძლებელი იქნება გაზეთების გამოცემისათვის გაწეულ ხარჯების დაფარვა.

მხოლოდ ხელის მომწერლების მიერ ხელის მოწერის ფასის თავის დროზე გადახდის საშუალებით და აგრეთვე გაზეთის ტირაჟის გადიდებით, გაზეთის ტრესტს შეძლება მიეცემა შეამციროს ფასები გაზეთებზე. ამისათვის, ამხანაგებს უნდა ახსოვდეთ, რომ გაზეთებზე ფასების შემცირება თვით მათზეა დამოკიდებული.

ხელის მოწერა შეიძლება ადგილობრივ საფოსტო დაწესებულებებში, თუ ამ დროსათვის იქ მოეწყობა ხელის მოწერა.

საჭიროა მისამართი აღინიშნოს სისწორით. მისამართის გამოცვლისათვის ადგილობრივ ქალაქის მცხოვრებლებს გადახდებათ—10,000 მან, ხოლო სხვა ქალაქებისას—20,000 მან.

5—3

ბორდო. 14 სექტემბერი. საფრანგეთის წარმომადგენელმა ინგლისში დე მონტალმა აცნობა ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტროს, რომ საფრანგეთის მთავრობა უერთდება ინგლისის მთავრობას სრუტეების საკითხში.

ბორდო. 14 სექტემბერი. საფრანგეთის, ინგლისის და იტალიის რაზმების გადმოსხმა ჩანაკაში დარდანელის აზიის ნაპირზე და სკუტარში ამტკიცებს მოკავშირეების განზრახვას დაიცვან სტამბოლი და გალიპოლი.

ბორდო. 14 სექტემბერი „მატენი“-ს ცნობით, გამიდ ბეიმ „ტრიბუნის“ კორესპონდენტს განუცხადა, რომ ოსმალეთი დაიმედებულია თავის ძალებით და სურს დარჩეს დამოუკიდებლად და დაიცვას სტამბოლი ანტანტის კონტროლის გარეშე, გამიდ ბეიმ გამოსთქვა იმედი, რომ ინგლისი უარს განაცხადებს სრუტეების კონტროლზე, ვინაიდან ოსმალეთი არ წარმოადგენს ინგლისის ახალშენს.

რომი. 14 სექტემბერი. რეიტერის სააგენტოს ცნობით საბერძნეთის წარმომადგენლებმა ბუხარესტში და ბელგრადში, წინადადება მისცეს რუმინიას და სამხრეთ-სლავიას ჩაერიონ ოსმალეთ საბერძნეთის კონფლიქტში „სტატუს ქვო“-ს დასაცავად.

კროიდონი 14 სექტემბერი. „ჟურნალი“-ს სიტყვებით, მოკავშირეებს სრუტეებიის უზრუნველყოფა შეუძლიათ მხოლოდ სევრის ხელშეკრულებაში ფართო დათმობის გზით.

სტამბოლში.

ჰანოვერი. 14 სექტემბერი. გავასის ცნობით, სტამბოლში სამხედრო წესების გამოცხადების გამო, აკრძალულია დაღამების შემდეგ ყოველგვარი მოძრაობა ქალაქში და ხმების გავრცელება მომხდარ ამბების გამო.

ოსმალეთის ჯარების გამარჯვება

ჰანოვერი. 14 სექტემბერი. „ეხო დეპარი“-ს ცნობებით, ოსმალეთის ჯარებმა 11 სექტემბერს აიღეს ბრუსა. ბერძნების ჯარები მუდანიიდან გადავიდნენ როდასტოში.

ჰანოვერი. 14 სექტემბერი ათინიდან მიღებულ ცნობების თანახმად, საბერძნების ჯარების ორი მესამედი უკვე გავიდა მცირე აზიიდან: 42,000 გაგზავნილია სმირნიდან, 33,000 მუდანიიდან 30.000 შინიიდან.

ბორდო. 14 სექტემბერი. ანატოლიაში საბერძნეთის ჯარი არ მოიპოება.

ბორდო. 14 სექტემბერი. ოსმალეთის ჯარებმა დაიკავეს სინია.

ვენიზელოსის გამგზავრება

მოსკოვი. 14 სექტემბერი სამშაბათს პარიზში ჩავიდა ვენიზელოსი და ითათბირა პუანკარესთან. ხუთშაბათს ვენიზელოსი მიემგზავრება ლონდონში.

ქემალ-ფაშის მოწოდება

მოსკოვი. 14 სექტემბერი. ქემალ-ფაშამ ოსმალეთის ხალხს მიმართა მოწოდებით, რომელშიც აღნიშნულია, რომ სამი წლის ბრძოლას უკვე მოაქვს ბრწყინვალე შედეგები. ყოველგვარ საქმეს, რომელიც ემყარება ხალხის ნებისყოფას, მოაქვს ბედნიერება ოსმალეთისათვის. ოსმალეთის ჯარების გამარჯვება უზრუნველყოფილია.

სმირნის აღების გამო.

ანგორა 9 სექტემბერს (დაგვიანებულია გადაცემა) 8 სექტემბერს საღამოს ათ საათზე ანგორაში მიღებულია სმირნიდან საფრანგეთის ჯავშნოსანი გემებისგან ცნობა რომ ანტანტისკონსულები მზად არიან გადასცენ სმირნა ოსმალეთს, და წინადადებას აძლევენ ოსმალეთის მოწინავე ჯარების მთავარ სარდალს დანიშნოს დრო და ადგილი ქალაქის გადასაცემად მოლაპარაკების საწარმოებლად.

ბორდო. 14 სექტემბერს. სმირნის გუბერნატორად დანიშნულია ნურედინ ფაშა. ქალაქში სიმშვიდეა.

ბორდო 14 სექტემბერი. სრული წესრიგის უზრუნველსაყოფად სმირნაში, ქალაქში დადიან ოსმალების პატრულები.

ანგორის პრესა.

ანგორა 8 სექტემბერი (გადაცემა დაგვიანებულია) ანგორის პრესა ერთხმად აცხადებს, რომ ბერძნების თანხმობა ანტოლიის ევაკუაციაზე დაგვიანებულია. ანატოლია ამ დღეებში გაწმენდილი იქნება ოსმალეთის იარაღის ძლიერებით ბერძნების ჯარებისაგან. გაზეთი „ხაკიმიეტ მილლიე“ აყენებს შემდეგ წინასწარ პირობებს დროებით ზავისათვის. ბერძნებმა უნდა დასტოვონ მთელი ოკუპაცია მოხდენილი ნაწილში ოსმალეთის ტერიტორიისა, მათ შორის ფრაკიაც; უნდა გადასცენ ოსმალებს იარაღი, რომელიც ჰქონდა ბერძნებს საწყობებში მცირე აზიაში; უნდა აანაზღაურონ ზარალი და გადასცენ ოსმალეთის მთავრობას სამართალში მისაცემად ის პირები, რომელნიც დამნაშავე არიან მშვიდობიან მუსულმანების ხოცვა ჟლეტაში ომის დროს.

რუსეთ-იაპონიის კონფერენცია

მოლაპარაკება იაპონიასთან

მოსკოვი. 14 სექტემბერი. (დასაწყისი არ არის მიღებული) ერთი ვერსიით იაპონია თანახმაა განაგრძოს მოლაპარაკება რუსეთის დეკლარაციის საფუძველზე. მეორე ვერსიით მინისტრთა საბჭო წინადადებას შეიტანს პირველად განხილულ იქნეს შორეულ აღმოსავლეთის საკითხი, ხოლო შემდეგ შეუდგენ სხვა საკითხებს. აშკარაა, რომ იაპონელები მიდიან დათმობაზე იოფემ განუცხადა კორესპონდენტებს, რომ რუსეთის დელეგაცია არ მოითხოვს დაჟინებით მუხლების გამომუშავების განსაზღვრულ წესრიგს, მაგრამ რუსეთის დელეგაცია კვლავ შეურყევლად დაიცავს რუსეთისა და შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკების შორის ხელშეკრულების დადების საკითხს.

შეკითხვა იაპონიის პრემიერისადმი.

მოსკოვი. 14 სექტემბერი. ჩიტიდან იტყობინებიან, რომ „კესიკაის“ პარტიის წარმომადგენლებმა ინახულეს იაპონიის პრემიერი კატო და მისცეს შეკითხვა, რატომ იაპონიის მთავრობა არ უდგება მოლაპარაკებას საბჭოთა რუსეთთან და არ ცდილობს მათთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებას. წარმომადგენლებმა აგრეთვე დაუსვეს მას კითხვა, თუ იაპონელები რატომ იყვნენ კონფერენციის სხდომების გახსნის წინაამდეგნი.

რუსეთი და ამერიკა

ამერიკის ოფიციალური შეკითხვა.

მოსკოვი. 14 სექტ ამ დღეებში ამერიკის მთავრობამ მეორედ მიმართა რუსეთის მთავრობას ოფიციალური შეკითხვით რუსეთ ამერიკის ხელშეკრულების დადების შესახებ საბჭოთა მთავრობამ გამეორებით უპასუხა, რომ იგი მზადაა შეუდგეს ოფიციალურ მოლაპარაკებას ამერიკასთან და თანახმაა დაინიშნოს მოლაპარაკების ადგილი ან რუსეთში, ან ამერიკაში, ან სადმე მესამე სახელმწიფოში, მაგრამ საბჭოთა მთავრობას სამართლიანად არ მიაჩნია რუსეთში ამერიკის საანკეტო კომისიის ცალმხრივი გაგზავნა, ვინაიდან ეს არ შეეფერება მხარეების თანასწორ უფლებიანობას.

მოსკოვი. 14 სექტემბერი. ამერიკის მთავრობის წრეებმა მიმართეს რუსეთს არა ოფიციალური შეკითხვით, როგორ პირობებში იქნება შესაძლებელი მოლაპარაკების დაწყება რუსეთ ამერიკის საქმიან ურთიერთობის აღდგენის შესახებ, შესაძლებელია თუ არა რუსეთში ამერიკის საანკეტო კომისიის გამოგზავნა. საბჭოთა მთავრობამ უპასუხა, რომ ის წინააღმდეგი არ არის რუსეთში ამერიკის საქმიანი წრეების ჩამოსვლის, მაგრამ ამერიკის კომისია დაშვებულ იქნება რუსეთში მხოლოდ ურთიერთ თანასწორ საფუძველზე და თუ ჩვენი წარმომადგენლები დაშვებულნი იქნებიან ამერიკაში, ამერიკის მთავრობასთან სავაჭრო მოლაპარაკების აღდგენას საბჭოთა მთავრობა ყოველ მხრივ ხელს შეუწყობს.

ანტანტა და გერმანია

მოლაპარაკება ბელგიისა და გერმანიის შორის.

ჰანოვერი. 14 სექტემბერი (რადიო). სამშაბათს, დილით ბელგიის გარეშე საქმეთა მინისტრმა ჟასპარმა გადასცა გერმანიის რწმუნებულს ლანდსბერგს ბელგიის მთავრობის გადაწყვეტილება. ბელგია მოითხოვს 15 აგვისტოდან—15 სექტემბრამდე დაწესებულ გადასახადის ოქროს მარაგით უზრუნველყოფილ ღირებულებით დაფარვას, რომელიც შეტანილ უნდა იქნეს ერთ-ერთ ბანკში, ბელგიის მთავრობის ჩვენებით.

ნაუენი. 14 სექტემბერი (რადიო). გერმანიის მთავრობას არ სურს მიიღოს ბელგიის წინადადება, თუმცაღა ოქროს მარაგის შექმნა რომელიმე ბანკში არ იქნებოდა ძნელი, მაგრამ ასეთი გზა, რასაკვირველია, ვერ გამოიწვევს მარკის დაცემის შეჩერებას, რასაც მოჰყვება სათანადო შედეგები.

ამგვარადვე, შექმნილ მდგომარეობის დროს არაფერი საჭირო იქნებოდა ანტანტისადმი თხოვნით მიმართვა მორატორიუმის შესახებ, შეიძლებოდა მხოლოდ სათანადო სესხის მიღება.

ვირტის განცხადება.

ნაუენი. 14 სექტემბერი (რადიო). უცხოეთის ჟურნალისტებთან საუბრის დროს ვირტმა განაცხადა: „რომ ბელგიის დელეგატებთან მოლაპარაკება სწარმოებდეს საქმიან ნიადაგზე, — უეჭველია მიღწეულ იქნებოდა შეთანხმება, ხოლო მარკა მოიპოებოდა ცოტაოდენ სტაბილიზაციას. უკანასკნელი თავის მხრივ საშუალებას მისცემდა გერმანიას მომავალ კონფერენციისათვის, საკონტრიბუციო გადასაჭრელად. გერმანიის მთავრობა უკმაყოფილოა, რომ ყურადღება არ მიაქციეს ბელგიის მთავრობის მერყეობას, რაც უფრო მეტს ზიანს აძლევს ევროპის ინტერესებს, ვინემ თვით გერმანიისა“.

მორიგი გადასახადები.

ბორდო. 14 სექტ. (რადიო). ბერლინიდან მოსულ ცნობების მიხედვით გერმანიამ აცნობა საფრანგეთს და ინგლისს, 18 სექტემბერს იგი შეიტანს 500 000 გ. სტერლინგს, დანარჩენ ნაწილს მორიგი გადასახადისას შეიტანს მაშინ, როდესაც სამისოდ პირობები ხელს შეუწყობენ მას.

ვირტის შვებულების გამო.

ჰანნოვერი. 14 სექტემბერი (რადიო). იტყობინებიან, რომ შინაური პოლიტიკის გართულების გამო ვირტის შვებულებაში წასვლა, გადადებულია სხვა დროსთვის.

საკონტრიბუციო კომისიასთან მოლაპარაკება.

ბორდო. 14 სექტ. (რადიო). გერმანიის დელეგატები ფიშერი და ბერგმანი განაგრძობენ ოფიციალურ მოლაპარაკებას საკონტრიბუციო კომისიასთან.

შემდეგი გადასახადები.

ჰანნოვერი. 14 სექტ. (რადიო). 15 სექტემბრის შემდეგ გერმანია შეუდგება შემდეგი გადასახადების მოწესრიგებასთან დაკავშირებულ საკითხების განხილვას.

ინგლისის მრეწველები და გერმანიის საკითხი.

კროიდონი, 14 სექტემბ. (რადიო). ინგლისის სავაჭრო საზოგადოებათა კრებაზე გუშინ მოსმენილ იქნა ეკონომიური კომისიის მოხსენება.

მოხსენება არკვევს იმ გარემოებას, რომ საკონტრიბუციო საკითხი განხილული იყო პოლიტიკური
ეკონომიური [illegible]
მოხსენებ [illegible]
რომ გერმანიას უნდა წა
მხოლოდ ისეთი მოთხოვნილებ
რომელთა დაკმაყოფილება მას ძ
უძს.

პრესის აზრი.

ჰანოვერი. 14 სექტემბერ
ლავს რა ბელგიის მთავრობის
წყვეტილებას, ბერლინის გაზ
გამოსთქვამენ გაკვირვებას იმის
სახებ, თუ როგორ მოხდა ასეთი
დაწყვეტილება ბერლინის მოლაპა
კების შემდეგ. გაზ. „ლოკალ ან
გერი“ სწერს, რომ მომხდარ ფაქ
შემდეგ გერმანიის მთავრობას
ლია უპასუხოს ახალი უარით,
დაც იმიტომ რომ მისთვის
საძნელოა და თითქმის შეუძლებ
15 სექტემბრამდე 100 მილ. მა
(ოქროთი) შეგროვება. ანალოგ
აზრს გამოსთქვამს გაზ. „ტაგებლატ
რომელიც აღნიშნავს, რომ დიდი
ნი არ არის მას აქეთ, რაც ან
ტის მოთხოვნით სახელმწიფო ბ
ავტონომიურ დაწესებულებათ გამ
ხადდა, რასაც შედეგად მოჰყვა
რომ გერმანიის მთავრობას არ ა
უფლება ჩაერიოს ბანკის ოპერაც
ბში.

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რ
სახელმწიფო ბანკის გამგეობის თა
მჯდომარემ უარი განაცხადა ძვირფა
სი ნივთების დახურდავებაზე 6 თვ
განმავლობაში. გაზ. „ფოსიშე ც
ტუნგს“ ბელგიის წინადადება
ლებლად მიაჩნია და ამბობს,
გერმანიის სამშვიდობო წინადად
ხი გაბათილდა ბელგიის კაბინეტ
პასუხით. გაზ. „ფორვერტსი“ ამბ
რომ ჯერ კიდევ არის გამოსავა
მხოლოდ, გაზეთის აზრით უნდა გ
სოვდეს, რომ ცალმხრივი მოთხოვ
ლებათა საშუალებით არ შეიძლ
მოისპოს ის უაზრობა, რომლის კლ
ჰებშიაც დღეს ევროპა იმყოფება.
ზეთის აზრით, საჭიროა გათვალ
ნებული იქნეს, რომ ამ უაზრ
აქვს ერთი საბოლოვო შედეგი—
გადაჩეხვას გერმანიას უფსკ
უფსკრულში. გაზ. „ბერლინერ
გებლატი“ ათავსებს იტალიის
ფილ პრემიერის ნიტტის წერ
რომელშიაც უკანასკნელი ამტკ
რომ ამერიკა არის პასუხისმგებ
ევროპის თანამედროვე კრიზისის
მოწვევაში.

ნიტტის სიტყვით, თუ რომ ამ
კას გამოეჩინა თავისი ნებისყოფა
რომ ის მოსთხოვდა თავის მოვა
ებს ვალების გადახდას, და უარი
ნეცხადებია თავის მოთხოვნილებებ
მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდ
მოვალეები უარს ეტყოდენ ხელშ
დებულებათა შესრულებაზე, იგი
მოვიდოდა სრული გამარჯვებ

თბილისის აღმასკომის კომუნალური პოლიტიკა

ახალი ეკონომიური პოლიტიკის სისტემა არის პროლეტარიატის ბრძოლის იარაღი სამეურნეო ფრონტზე, საშუალება მისი პოლიტიკურ ეკონომიური სიძლიერის გამაგრებისა და ძირითადი პირობა მისი სოციალისტური სისტემის გამარჯვებისა კაპიტალისტურ სისტემაზე. საბჭოთა ეკონომიკის საფუძველნი და გამართლება დამყარებულია შემდეგ თეორეტიულ დებულებაზე: კაპიტალისტურმა მეურნეობამ თავისი დრო მოჭამა. როგორც დინამიურ მეურნეობას მას კიდევ შეუძლიან უკეთეს შემთხვევაში რამდენსამე ხანს გაძლოს, მაგრამ სამეურნეო დინამიკა მისაღწევია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მთელი მეურნეობა სოციალისტური გზით იქნება მოწესრიგებული, ესე იგი თუ წარმოების მთელი ზედმეტი ნაწილი საწარმოო საქმეს მოხმარდება და სამუდამოდ ჩამოშორდება მას სამეურნეო პარაზიტიზმის ელემენტები. ამ ფორმულის ჭეშმარიტება სავსებით დაამოწმა ომის შემდეგ დროის ეკონომიური ცხოვრების ისტორიამ, როდესაც გამარჯვებული ევროპა, დარწმუნებულია იმაში, რომ იგი ფრონტის ბატონიც არის, სავსებით მიეცა სამეურნეო მოქმედებას. მაგრამ მალე გამოირკვა, რომ კაპიტალისტურ ევროპას, რომელიც ამ ჟამად გაურკვეველი დეპრესიის ბრჭყალშია გაბმული, ოცნებაც-კი არ შეუძლიან აღორძინებაზე.

ქალაქის აღმასკომი არ შეჩერდება ამ საგანზე და მხოლოდ აღნიშნავს უდიდესი მნიშვნელობის ისტორიულ ფაქტს, რომ ერთად-ერთი ძალა, რომელმაც საბჭოთა წყობილების ეკონომიური ცხოვრება მოაწყო სამეურნეო ძალთა სწორე აღრიცხვის და სიმდიდრის მეცნიერულად განაწილების საფუძველზე და რომელსაც ზედმეტ ღირებულების გამრიელი ლუკმა წარმოებით საქმეებს მოახმარა, არის მუშათა ძალა, რომელიც სისტემატიურად აუმჯობესებს საბჭოთა წყობილების ეკონომიურ ცხოვრებას და მტკიცედ აღწევს ეკონომიურ განვითარების უმაღლეს მწვერვალებს.

ქალაქის აღმასკომი, ეხელმძღვანელებს რა საბჭოთა ფედერაციაში უკვე ნაცად ამ ძირითადი პრინციპებით, გაატარებს თავის კომუნალურ პოლიტიკას თბილისში.

ამ ბოლო დროს თვით საბჭოთა პრესაშიაც-კი დაიბეჭდა ცნობა, ვითომ ქალაქის აღმასკომს გადაეწყვიტოს დემუნიციპალიზაცია ზოგიერთი მამულებისა, რომლებსაც ქალაქის სამეურნეო ცხოვრებაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს. პირველი დებულება, რომელიც ძირითადია მე 2 მოწვევის აღმასკომისა მუშაობის სისტემაში, არის სრული სისწორით ჩამოყალიბება იმ მიღწევებისა, რომელიც გადმოგვეცა პირველმა აღმასკომმა, და მოწესრიგება ყველა იმ საკითხისა და საგნისა, რომელთაც ჯერ სავსებით არ მიუღიათ ფორმალური ხასიათი. თბილისის აღმასკომი უმთავრესი ფაქტორია ქალაქის ცხოვრებაში. იმის ხელშია მთელი მაცოცხლებელი ძალა და სავაჭრო აპარატის სადავე. და ეს ბატონობა კერძო-სამეურნეო ცხოვრებაზე წარმოადგენს აღმასკომის ბაზისს და არსებობის საფუძველს, და ლაპარაკიც-კი არ შეიძლება რაიმე დემუნიციპალიზაციაზე ან რაიმე განტვირთვაზე და სამეურნეო განიარაღებაზე.

დადებულ ამოცანათა მისაღწევად კომუნალური ცხოვრება თბილისისა ევლის ერთად ერთი გზით. ეს გზა არის—სასტიკად გატარება კომუნალური მეურნეობის პრინციპებისა და ეკონომიური ცხოვრების ყოველგვარ დარგში ქალაქის უფლებათა და მოვალეობათა ბატონობა მეთაურობისა. ეს არის მთავარი მიზანი მუშათა აღმასკომის მოქმედების პროგრამისა.

პირველი საკითხი, რომელიც ქალაქის აღმასკომს მიმდინარე ცხოვრებამ წამოაყენა, არის განსაზღვრა ქალაქის მეურნეობის მოქმედების სფეროსი და მტკიცედ ჩამოყალიბება იმ ურთიერთობისა და უფლებრივ ნორმებისა, რომელიც ქალაქის აღმასკომსა და სახელმწიფო ორგანოებს შორის უნდა არსებობდეს. ახალი ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც აიძულებს ქალაქის სამეურნეო ორგანოებს გამოსძებნონ სხვა და სხვა წყარო, იწვევს სახელმწიფოსაგან რეაქციას იმ მხრივ, რომ შეზღუდოს და შეავიწროვოს ქალაქის მეურნეობა თავის ელემენტარულ უფლებებშიაც კი. ადგილობრივი და რუსეთის სატახტო ქალაქების ცხოვრებაში ეს საკითხი უპირველეს საკითხად გადაიქცა.

„ЭКОНОМ. ЖИЗНЬ“ ი აღნიშნავს ისეთ ფაქტებს, რომელთაც ჩვენთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვთ:

„რევოლიუციის პროცესში კომუნებმა გაჰფანტეს ის ქონება, რომელიც მათ ეკუთვნოდათ. ადგილობრივ ბიუჯეტის გაუქმების და ადგილობრივ მეურნეობის ცენტრალისტურ სახელმწიფოს ერთიან სისტემაში შეტანით, მუნიციპალური სამფლობელოები ფაქტიურად გაეროვნებულ იქმნენ. ასე, მაგალითად, საქალაქო მიწის ფონდები მიწათმოქმედების ხელში გადავიდა, ქალაქის სამრეწველო დაწესებულებები გადაეცა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს, ტრანსპორტი და სხვა — გზათა სახალხო კომისარიატს და სხვა“ „(ЭКОНОМ. ЖИЗНЬ“ № 108, 17 მაისი, 1922).

უფლებათა და მოვალეობათა ამ არევ-დარევას ფართო ადგილი აქვს როგორც საზოგადოდ საქართველოს ისე კერძოდ ტფილის ცხოვრებაში. საბჭოთა რეჟიმმა გააეროვნა მთელი რიგი სამრეწველო დაწესებულებებისა და ქონების, რომელიც წინად ადგილობრივ ორგანოებს ეკუთვნოდა. ქალაქს ჩამოერთვა დაწესებულებანი თავის საწყობებითა და ქონებით, რომელთაც კავშირი ჰქონდათ მომარაგების განყოფილებასთან; ჩამოერთვა ქალაქს აგრეთვე წისქვილები, აფთიაქები, სააფთიაქო საწყობები, სლამბები, ლომბარდი, ფეხსაცმელის მექანიკური სახელოსნო და სხვა. დატაცების ინსტინქტმა ისე გაიტაცა სახელმწიფო დაწესებულებები, რომ მათ დაისაკუთრეს სასტუმროებიანი სახლები, დარაბები, ბაღები და სხვა. ქალაქის სამრეწველო დაწესებულებებსაც არ დაერიდნენ. სახელმწიფო ხელისუფლება არ დასჯერდა ამ მითვისებას: არის შემთხვევები, როდესაც უმაღლესი ორგანოები ქალაქის ელემენტარულ საკითხებშიაც-კი ერევიან ხოლმე. ასეთია, მაგალითად, საკითხი მოჯარადრეთათვის საჯარო გადასახადის დაწესების შესახებ, აღმასკომის უპირველეს და გადაუდებელ ამოცანას შეადგენს საბოლოოდ გადაწყვეტა ამ საკითხებისა და გამორკვევა ქალაქისა და სახელმწიფო დაწესებულების ფუნქციებისა. აღმასკომს თავის გეგმის განსახორციელებლად, საჭიროდ მიაჩნია: 1) „კომუნის მატერიალურ წარმოებითი ბაზისის გამაგრება იმით, რომ გადაეცეს საბჭოს მთელი რიგი გაეროვნებულ სამრეწველოებისა და სასოფლო სამეურნეო დაწესებულებებისა; 2) ქალაქის საბჭოს უნდა მიეცეს დამოუკიდებელ ბიუჯეტის უფლება იმ მხრივ, რომ მას თავისუფლად შეეძლოს ადგილობრივ საშუალებათა მოხმარება, ქალაქის მეურნეობის საჭიროებებზე; და 3) ჩამოყალიბება საბჭოს უფლებებისა შესახებ შინაურ და გარეშე სესხების აღებისა, კომუნალურ კონცესიების და მონოპოლიების გაცემისა და კომუნალურ ამშენებლობის საჭიროებათათვის ადგილობრივ საკრედიტო დაწესებულებების მოწყობისა“ („ЭКОНОМ ЖИЗНЬ“ № 108)

ზოგადი საკითხის სფეროდან საჭიროა შევჩერდეთ ჩვენი მეურნეობის მთავარ წყაროებზე—ფინანსიურ და წარმოებით შემოსავალზე. საგადასახადო მეურნეობა, როგორც არაპირდაპირი, ისე საემისიო გადასახადები, იმ შემთხვევაში, თუ ეს გადასახადები ქალაქის კეთილდღეობის მთავარ წყაროებად იქნებიან მიჩნეული, მთელ ჩვენ მეურნეობას და ბიუჯეტს პარაზიტულ ხასიათს მისცემენ. 1911 წ. 9 თებერვალს რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭომ გამოსცა დეკრეტი ყველა გადასახადის გაუქმების შესახებ, დასახელებულ დეკრეტს ღრმა პრინციპიალური და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ამ დეკრეტით საბჭოთა აღმშენებლობის ხელმძღვანელმა ორგანოებმა გამოხატეს თავიანთი ნებისყოფა და ტაქტიკა. ახალმა ეკონომიურმა პოლიტიკამ რამდენადმე აღადგინა ძველი წყობილების ფინანსიური სტრუქტურა და საგადასახადო უფლება, რაიცა კომპრომის წარმოადგენს დღევანდელ მომენტის პრაქტიკულ მოთხოვნილებათა მიმართ. მაგრამ ჩვენ საზოგადო მიზანს უნდა შეადგენდეს მეცადინეობა საგადასახადო სისტემის სრულიად გაუქმებისა; დღეს-კი გადასახადების შემოღებით ჩვენ ამის საწინააღმდეგო პოლიტიკას ვაწარმოებთ ასეთია თეორეტიული მოსაზრებანი აღმასკომისა გადასახადების შესახებ საერთოდ ვაჭრობის თავისუფლება შეგნით და სამრეწველო საქმიანობის წაქეზება—აი უმთავრესი მუხლები აღმასკომის პოლიტიკისა, და ასეთი პოლიტიკა სავსებით ეთანხმება საკავშირო საბჭოს 15 მაისის დადგენილებას, რომელმაც (საბჭომ) დეკრეტით დაადასტურა პირველი აქტი ფედერაციის საზღვრებში საქონლის თავისუფლად გატანა შეტანის შესახებ, აგრეთვე ფასიან ქაღალდების, ოქროსი და ძვირფას მეტალების გატანა შეტანის შესახებ. ამრიგად, საგადასახადო ფულების სფეროში აღმასკომის ძირითად მოთხოვნილებას შეადგენს არა გამრავლება გადასახადებისა, არამედ მათი მინიმუმამდე დაყვანა, შემოღება ერთიანი გადასახადის, პირდაპირი და შემოსავლის კლასის გადასახადის. რადგან გადასახადი ქალაქის ცხოვრებაში მთავარ ფაქტორს არ წარმოადგენს, აღმასკომის მიერ შეწერილი გადასახადები არ არიან მძიმენი მცხოვრებთათვის. ტფილისმა არასოდეს არ იცოდა ისეთი უმნიშვნელო განაკვეთები გადასახადისა, როგორც ეხლა, საბჭოთა რეჟიმის დროს.

ომამდე (1914 წ.) სატრაქტირო გადასახადი ქალაქს აძლევდა 90 ათას მანეთს, ესე იგი ეხლანდელ ფულზე 9 მილიარდს წელიწადში. ეხლა ვიღებთ 10 მილიარდს. ქალაქი ეხლა ერთი მილიარდით მეტს ღებს, მაგრამ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის, რომ წელს ბევრად მეტ სატრაქტირო დაწესებულებას გაეწერა გადასახადი, ვიდრე 1913 წელს. ასევე იყო შემდეგ წლებში. 1922 წელს სასადილო არის 296, 1917 წელს კი იყო—137. 1917 წელს სატრაქტირო გადასახადი გაწერილი იყო სულ 443 დაწესებულებაზე, წელს კი—713 დაწესებულებაზე, ასე რომ ეს გადასახადი ძალიან შეღავათიანია. დასაფასებელმა გადასახადმა 1914 წელს ქალაქს მისცა 1 ნახ. მილიონი მანეთი ოქროთი, ესე იგი 150 მილიარდი ეხლანდელ ფულზე, მაშინ, როდესაც სადარაბო გადასახადმა მდგომარე წელს მოგვცეს 80—90 მილიარდი.

გადამხდელის თვალში ყველა გადასახადი უსამართლოა. აღმასკომი სასტიკია თავის საგადასახადო პოლიტიკის გატარებაში, მაგრამ ამასთანავე იგი სამართლიანია როგორც სუბიექტიურად, ისე ობიექტიურად. ობიექტიურად ჩვენი გადასახადები სიმტკიცეს ანიჭებენ სახელმწიფო მანეთის ძლიერებას და ამით აღიდგენენ იმ განძეულის ღირებულებას, რომელიც გადასახადის გამღების ხელში რჩება.

უმთავრესი მომენტი აღმასკომის მოქმედებაში წარმოებითი მომენტია, ე. ი. შენარჩუნება და გამაგრება არსებულ წარმოებითი კავშირებისა, გაფართოვება ამგვარ ორგანოების ქსელისა და წარმოების მბრძანებელ ფაქტორების გაძლიერება. ყველაზე არსებითია გადაჭრა სათბობ საკითხისა და ძირითად სამრეწველო დაწესებულებებისათვის იაფ სათბობის მოწყობა. აღმასკომი ორკეც ყურადღებას აძლევს მტკვრის წყლის გამოყენებას და **ზემო ავჭალაში** ჰიდრავლიკურ მოწყობილებათა გამართვას. ამ საქმისაგან ქალაქი ძალიან ბევრს მოელის, რადგან ქალაქის წარმატებანი ერთბაშად მეტად ხელსაყრელ პირობებში მოექცევიან. ტრამვაი, ელექტრონი, წყალსადენი, აბანოები, სასაკლაო და მრავალი სხვა დაწესებულება, სამუდამოდ განთავისუფლდება ნავთისაგან, მცხოვრებთ ექნებათ იაფი ენერგია, ხოლო ქალაქს—დიდი შემოსავალი.

საქალაქო მრეწველობის ერთ-ერთ შემდეგ მომენტს წარმოადგენს პროდუქტების წარმოების საქმის განვითარება. პროდუქტები უნდა იყოს სიიაფით ხელმისაწვდენი ქალაქის ფართო მასებისთვის, მაღალი ღირსებისა და ჰიგიენის მხრივათ ყოვლად უზადო. ამ მხრივ აღმასკომი უკვე მუშაობს და თამამად შეუძლიან აღნიშნოს, რომ დღევანდელ ობიექტურ პირობებში კომუნალური სიკეთენი და საქონელი საერთო ბაზრის ყველა სხვა პროდუქტზე უფრო იაფია. მოვიყვანთ რამდენსამე მაგალითს:

ტრამვაიზე მგზავრობა შეფასებულია 5 და 10 ათასად. (15 ათასიან ფასს სპეციალური დანიშნულება აქვს—ზოგიერთ შტოს განტვირთვა) ომამდე ტრამვაის ბილეთი ღირდა 3 და 5 კაპ. ეხლანდელ ფულზე ამ თვის ანგარიშით (კაპეიკი 2 ათასი მანეთი) ეს იქნება 6 და 10 ათასი მანეთი. მაშასადამე, დღეს ისეთივე ფასებია, როგორც იყო ომამდე. მაგრამ ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ გარემოებას. უმთავრესი მნიშვნელობა ტრამვაის მეურნეობაში აქვს სათბობ მასალას, 1914 წელს ნავთი ღირდა ფუთი 45 კაპ., დღეს-კი იგი 90 ათას მანეთს აღემატება. აღარ შევეხებით საზღვარ გარეთიდან მოტანილ ზოგიერთ ტეხნიკურ მასალის სიძვირეს. უამისოდაც ტრამვაის ბილეთის ფასი დღევანდელ პირობებში იაფად უნდა ჩაითვალოს.

ესევე უნდა ითქვას წყლის ფასზე და სხვა კომუნალურ საქმეზე. ომამდე ვედრო წყალი ღირდა ერთი მე
დი კაპ., ესე იგი ჩვენ ფულზე 3
ეხლა კი ღირს 300 მან., თუმცა
თი, რაც უმთავრეს ხარჯს იწ
ეხლა უფრო ძვირია, ვიდრე
იყო.

ქალაქის უმთავრესი საქმეებ
ფიციტს იძლევიან იმიტომ, რომ
ხოვრებით იაფად ეთმობათ და
გარდა, ხელისუფლების ყველა ორ
ნო არ იხდის ამ სარგებლობის
მათგან კუთვნილ ფულს. იაფ სათ
ბზე გადასვლის შემდეგ ყველ
ფასი საგრძნობლად დაიწევს.
გად, სამუნიციპალო სისტემა წა
ბის ყველა მთავარ დარგში ერთ
ერთი პოლიტიკაა, რომელიც მ
რებთ იცავს სპეკულიაციის, სი
და ანტისარიისაგან.

საჭიროა შევეხოთ აგრეთვე
საყურადღებო საკითხს—იჯარი
სებს. ქალაქის აღმასკომი იჯარ
ლევს სახლებს, სავაჭრო სადგ
ბაკებს, სასწორებს და სხვას.
კომის მიზანს შეადგენს—მოსპო
რძო პირთა მიერ სავაჭრო-სამ
ლო სადგომების, სახლების, სა
როების და სხვათა გაცემა. აღმ
უნდა მთელი ეს საქმე ქალაქის
სკომის ხელში მოაქციოს სამე
ანგარიშის საფუძველზე. სა
აღინიშნოს, რომ შენობების ი
გაცემის დროს, საერთო კონტ
როგორც სასანიტარო-საამშენ
ისე მოწესრიგების მხრივ, ქა
ხელში რჩება.

აღმასკომი განსაკუთრებულ ყ
ღებას აქცევს საცხოვრებელ სა
ეგრედ წოდებულ „საბჭოთა სახ
რომელთა მეურნეობაც საგან
უნდა მოეწყოს. ამ სახლების შ
ვალი შეიძლება სარემონტო
მოხმარდეს.

დარაბების საქმის უფრო წ
მოგვარებისთვის, აღმასკომს საჭ
მიაჩნია, დღეს არსებულ დადგე
ბათა შესაცვლელად, ჩაგონოს
ჭრო სამრეწველო ჯგუფებს, რო
მინისტრატიული ხასიათის ყ
გვარი განკარგულება დარაბებზ
სახლების ან გამოსახლების შ
არ იქნება დაშვებული ან და
ლი იქნება ქალაქის და სახელმ
უფრო საყურადღებო საქმეებ
უფრო ნორმალური უფლებრივი
თიერთობის დასამყარებლად და
ბის მოიჯარადრეებთან, საჭირო
იდოს მათთან ხელშეკრულება,
უნდა დაწესდეს როგორც ვად
წესრიგი, ისე მტკიცე საიჯარო
სები.

თბილისის ქალაქის აღმასკომ
(დასასრული იქნება)

სასურსათო გადასახადის კამპანია

თელავის მაზრა

ეს მაზრაც ხელმეორედ მოიარა სახალხო სასურსათო კომისარიატის მთავარმა საგადასახადო ინსპექტორმა და დარწმუნდა, რომ გადასახადის შეგროვების საქმე საიმედო ხელშია. სამაზრო სასურსათო კომისარი დღე და ღამე მუშაობაშია ჩაბმული და ყოველ ღონეს იღებს გადასახადის სწრაფად შესაკრებად. ამ მაზრაში უფრო ადვილი განსახორციელებელია სასურსათო გადასახადის სწრაფად აკრება, ვიდრე სიღნაღის მაზრაში, ვინაიდან აქ თითქმის სულ ხორბლის კულტურას მისდევენ. მუშაობა ყველა თემში კარგად მიმდინარეობს. გადასახადის შეგროვება მოკლე ხანში დასრულდება მაზრაში, გარდა იმ ზოგიერთ ადგილებისა, სადაც სიმინდი მოდის. საერთოდ ამ მაზრაში უმთავრესად ხორბლეული იკრიბება. ვარაუდით გადასახადის ანგარიშში სიმინდით შეკრებილი იქნება მაზრაზე შეწერილ გადასახადის 10—15 პროცენტი. ტომრების ნაკლებობა თავიდან აცილებულია და ამ მხრით არარავითარი დაბრკოლება აღარ იქნება.

მშვიდობიანობის საკითხში. გაზ. „დეილი ხრონიკლის“ აზრით ბელგიის მთავრობის მოთხოვნილება სახაზინო ბონების უზრუნველსაყოფად ოქროს მარაგის შექმნის შესახებ, უდრის უარის თქმას გერმანიისათვის რაიმე შეღავათის მინიჭებაზე, ხოლო კრიზისი, რომელიც განელებულად ითვლებოდა, ხელახლა წარმოიშვა, და ამავე დროს კიდევ უფრო ძლიერად ვიდრე იყო წინად და გერმანია იძულებული იქნება გადაიხადოს 30 მილიონი მარკა ოქროთი 15 სექტემბერს იმ ვალის ანგარიშში, რომლისათვისაც ანტანტამ უარი განაცხადა რაიმე მორატორიუმის მინიჭებაზე. გაზ. „ბერლინერ ტაგებლატის“ მეთაური ამბობს, შეერთებულ შტატებმა უნდა გამოიჩინონ თავისი ნების ყოფა ევროპის კრიზისით. თუ რომ ამერიკა, იმის მაგიერ, რომ შორიდან უცქიროს საერთო ნგრევას, დაჟინებით მოსთხოვდა ინგლისს, საფრანგეთს და იტალიას მათი ვალების გადახდას, და იმ შემთხვევაში თუ ეს სახელმწიფოები განაცხადებდნენ, რომ არ შეუძლიათ ვალების გადახდა, ამერიკას კომპენსაციის სახელით მოეთხოვა გერმანიაზე მოკავშირეთა უფლებების გაუქმება, მაშინ ევროპის საკითხი სულ ადვილად გადაწყდებოდა.

მორიგი გადასახადის შეტანა გერმანიის მიერ.

მოსკოვი, 14 სექტემბერი (რადიო) გერმანიის მთავრობას განზრახვა აქვს თუთხმეტი სექტემბრისათვის შეიტანოს 30 მილიონი მარკა ოქროთ.

წითელ რუსეთში

რუსეთი

1901 წელში დაბადებულთა გაწვევა

მოსკოვი. 14 სექტემ. სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა გაიწვიოს სამხედრო სამსახურში მთელ რესპუბლიკის ტერიტორიაზე ყველა ის პირნი, რომელნიც დაბადებულნი არიან 1901 წელს და რომელნიც ამა თუ იმ მიზეზით არ არიან გაწვეულნი არმიაში.

1901 წელში დაბადებულთა გაწვევის წესი.

მოსკოვი. 14 სექტემბერი. სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით 1901 წელში დაბადებულთა სამხედრო სამსახურში გაწვევა უნდა დაიწყოს 15 სექტემბერს და დამთავრდეს 1 ნოემბერს. სწავლის დასრულებამდე განთავისუფლებულნი იქნებიან ყველა აკადემიების, მუშათა ფაკულტეტების, საბჭოთა პარტიულ სკოლების და პროფესიონალურ ტეხნიკურ სკოლების მოსწავლენი.

რკინის გზებზე.

მოსკოვი. 14 სექტემბერი. გზათა სახ. კომისარის მოადგილემ ფომინმა აცნობა „როსტას“ თანამშრომელს, რომ ამ ჟამად ტრანსპორტის მდგომარეობა დამოკიდებულია სათბობ მასალაზე. ყველაზე ცუდ პირობებში სათბობი მასალის მხრივ, იმყოფება დონის და სამხრეთის რკინის გზები. მიღებულია ენერგიული ზომები სათბობ მასალათა კრიზისის თავიდან ასაცილებლად. დასკვნაში ფომინი გამოსთქვამს იმედს ტვირთების გაზიდვის კამპანიის სასურველად ჩატარების საქმეში.

შრომისა და ტვირთზიდვის ხარკი ნორმაზე ზევით.

მოსკოვი. 14 სექტ. სახ. კომისართა საბჭომ მიიღო პროექტი დადგენილებისა მცხოვრებთა შრომისა და ტვირთზიდვის ბეგარაზე გაწვევის შესახებ სტიქიურ უბედურებათა: თოვლის ზვავების, ტყის ცეცხლის, წყალ-დიდობის და სხვათა წინააღმდეგ საბრძოლველად. მუშაობა ფულით იქნება ანაზღაურებული.

საბაჟო გადასახადის შემოსავალი

მოსკოვი. 14 სექტემბერი. მთელ ფედერაციაში 8 თვის განმავლობაში შემოვიდა 1 მილიარდი 60 ათასი მ. საბაჟო გადასახადი.

საოლქო სატარიფო საბჭოში

მოსკოვი. 14 სექტემბერი. უმაღლეს სატარიფო საბჭომ შეიმუშავა პროექტი დეკრეტისა საოლქო სატარიფო საბჭოების შესახებ, რომელნიც მოაწესრიგებენ ადგილობრივ ხელფასს და თვალყურს ადევნებენ ხელფასის კრედიტების თავის დროზე დახარჯვას.

სახალხო კავშირის მდგომარეობა.

მოსკოვი. 15 სექტემბერი. სახალხო კავშირის ადმინისტრატორთა სრულიად რუსეთის ყრილობამ აღნიშნა სახალხო კავშირის საქმის გაუმჯობესება.

ცენტრო კავშირის საბჭოს სესია.

მოსკოვი. 15 სექტემბერი. 9 ოქტომბერს იხსნება ცენტრო კავშირის საბჭოს მორიგი სესია.

პასუხი მატყუარებს

მოსკოვი. 15 სექტემბერი. გაზ. „იზვესტია“ იტყობინება, რომ ესერების ბერლინის გაზეთმა „გოლოს როსიამ“ დაბეჭდა პროვოკაციული ცნობა ერთ-ერთ მემარჯვენე ესერის ტიმოფეევის თვითმკვლელობის შესახებ. ეს ცნობა არის მორიგი პროვოკაცია, საბოლოოდ დაშლილი პარტიისა. გაზ. „იზვესტიის“ უტყუარი ცნობების თანახმად, გასამართლებელი ესერები იმყოფებიან მოსკოვის ციხეში და არავითარი „შიმშილობა“, რომლის შესახებაც „გოლოს როსია“ სწერს მათ არ გამოუცხადებიათ. ესერების პარიზის დელეგაცია კვებავს დასავლეთის მუშათა კლასს ყალბი და პროვოკაციული ცნობებით.

სახელმწიფო წარმოებათა იჯარით გაცემა.

მოსკოვი. 15 სექტ. სახალხო კომისართა საბჭოში სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ შეიტანა პროექტი დეკრეტისა, რომლის თანახმად სახელმწიფო წარმოებათა იჯარით გაცემა უნდა სწარმოებდეს მხოლოდ და მხოლოდ საჯარო ვაჭრობის საშუალებით.

მილიციონერების შეღავათი.

მოსკოვი 15 სექტ. შინ. საქ. სახ. კომისარიატმა აღძრა შუამდგომლობა სრულიად რუსეთის ცენ. აღმ. კომიტეტის წინაშე ნატურგადასახადის აკრეფის დროს მილიციონერების ოჯახებზე წითელ არმიელების შეღავათის გავრცელების შესახებ.

კაპიტალიზმის სამეფოებში

გერმანია

ტარიფების მომატება

ჰანნოვერი. 14 სექტემბერი (რადიო) პირველი ოქტომბრიდან ბერლინის მიდამოების რკინის გზებზე ტარიფი გადიდებულია 100 პროც.

ლატვიაში

ლატვიის სოც.-დემოკრატების ღალატი.

მოსკოვი. 14 სექტემბერი. ლატვიის სხვა და სხვა ადგილებში დაფანტულია ლატვიის კომუნისტურ პარტიის მოწოდებები, სადაც აღნიშნულია სოციალ დემოკრატების ღალატი არჩევნების დროს. იქვე აღნიშნულია შემთხვევები, როდესაც სოც. დემოკრატები გამოდიოდენ ბურჟუაზიასთან ერთად მემარცხენე პროფკავშირების წინააღმდეგ, რამაც მოუსპო მათ შესაძლებლობა მიიღოთ მონაწილეობა არჩევნები. არჩევნების წინა დღეს რეპრესიებმა რევოლიუციონურ მუშათა მიმართ მიიღეს გრანდიოზული ხასიათი.

ასოთ-ამწყობთა გაფიცვა

მოსკოვი 14 სექტემბერი. ლატვიაში გამოცხადებულია ასოთ ამწყობთა გაფიცვა, რომელნიც მოითხოვენ ჯამაგირების მომატებას.

შვეციაში

ერთიანი ფრონტი

მოსკოვი. 14 სექტემბერი. სტოკჰოლმში ადგილობრივ თვითმართველობის არჩევნებზე სამივე მუშათა პარტიებმა მემარჯ. და მემარცხ. ესდეკებმა და კომუნისტებმა—დაარსეს ერთიანი ფრონტი. საარჩევნო მოწოდებაში ისინი მოითხოვენ ნორმალური დამოკიდებულების აღდგენას რუსეთთან.

ავსტრიაში

ავსტრიის კომპარტიის მოწოდება.

მოსკოვი. 14 სექტემბერი. ბერლინში „როტეფანე“-მ მოათავსა ავსტრიის კომპარტიის მოწოდება, ავსტრიის მუშებისადმი.

მოწოდებაში აღნიშნულია ავსტრიის პროლეტარიატის უნუგეშო მდგომარეობა და წამოყენებულია მოთხოვნილება მუშათა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. მოწოდებაში აღნიშნულია ავსტრიის ფაბრიკა ქარხნების კომიტეტების საერთო კონგრესის მოწვევის აუცილებლობა.

შეთანხმებელთა შორის.

მოსკოვი. 14 სექტ. მაინის ფრანკფურტში შესდგა ვენის ინტერნაციონალის აღმასკომის თათბირი, რომელზედაც მიიღეს რეზოლიუცია გერმანიის სოციალისტური პარტიისა, სხვა და სხვა პროლეტარულ პარტიების ურთიერთობის შესახებ.

ბეჭდითი კავშირის მუშათა გაფიცვების გამო ვენაში.

მოსკოვი, 14 სექტემბერი. ორი კვირა გაფიცვის შემდეგ ვენის ბეჭდითი კავშირის მუშებმა განაახლეს მოლაპარაკება მწარმოებლებთან. პროფკავშირთა კომისიამ დაადგინა დაიწყოს გაზეთი „არბეიტერ ცეიტუნგი“-ის აწყობა. წარმოდგენილ მოთხოვნილებების გამო ხუთი გაზეთი იკეტება, დანარჩენი გაზეთები გაიყიდება ოთხი ათასი კრონად თითო ცალი.

იაპონია

იაპონიის მუშები რუსეთის დამშეულთ.

მოსკოვი, 14 სექტემბერი. იაპონიის მუშათა კავშირის ცენტრალურ კომიტეტის წარმომადგენელმა და სხვა ოთხმა კავშირის წევრებმა ინახულეს დამშეულთა დამხმარე ტოკიოს განყოფილების გამგე ანტონოვი და გამოსთქვეს უსაზღვრო სიმპატიები იაპონიის მუშებისა საბჭოთა რუსეთისადმი. ამ ამბით აღელვებული პოლიცია მივიდა იაპონიის მუშათა კავშირის ცენტრალურ კომიტეტის შენობაში და დაიწყო საქმის გამოძიება.

საფრანგეთი

ჰერიოს გამგზავრება.

მოსკოვი, 14 სექტემბერი. პარიზიდან წასვლის წინ დეპუტატ ჰერიომ „პტი ჟურნალის“ კორესპონდენტთან საუბრის დროს განაცხადა, რომ იგი მიემგზავრება ბერლინში, რათა საბჭოთა წარმომადგენლობისაგან მიიღოს რუსეთში წასასვლელი ვიზა, რუსეთში იგი მიემგზავრება, როგორც კერძო პიროვნება ადგილობრივად მდგომარეობის გასაცნობად და ისეთი კეთილი საქმის დასაწყებად, რომელიც შემდეგში ორივე ქვეყნის მთავრობისაგან მოწონებული იქნება. ჰერიოს სურს მთელი ენერგია და ღონისძიება მოახმაროს მშვიდობიანობის და კეთილმდგომარეობის დამყარებას თავის ქვეყანაში, და იმედი აქვს, რომ მისი გამგზავრება უშედეგოდ არ ჩაივლის.

ახლო აღმოსავლეთის კონფერენცია

ინგლისის ნოტა იტალიას.

მოსკოვი 14 სექტემბერი (რადიო). ინგლისის მთავრობამ გაუგზავნა იტალიის მთავრობას ნოტა, რომელშიაც ატყობინებს, რომ მდგომარეობის შეცვლის გამო ახლო აღმოსავლეთის საკითხების შესახებ კონფერენციის მოწვევა არ არის სასურველი.

საფრანგეთი თანახმაა კონფერენციაზე.

მოსკოვი. 14 სექტემბერი (რადიო) რომიდან მიღებულ ცნობების თანახმად საფრანგეთმა გამოსთქვა თანხმობა იტალიის წინადადებაზე, რათა საჩქაროდ იქნეს მოწვეული კონფერენცია ახლო აღმოსავლეთის საქმეების შესახებ. ვენეციაში.

ქრონიკა

◆ **დახმარება ოზურგეთ-ნატანების რკინის გზას.** საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარმა კომიტეტმა გადასცა ოზურგეთ ნატანების რკინის გზის კომიტეტს ხუთასი მილიონი მანეთი დახმარების სახით ამ გზის საჭიროებისათვის.

◆ **„ხე-ტყის და შეშა ნახშირის“ არტელმა** მიიღო რკინის გზისაგან დაკვეთა 4600 კ. ს. შეშის დასამზადებლად. არტელს მუშაობის საწარმოებლად მიეცა ავანსის სახით 1 მილიარდი მანეთი.

◆ **ამიერ კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატი და შრომის ბირჟა.** იმის გამო, რომ აღმოჩენილ იქნა საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატში მუშა-მოსამსახურეების შრომის ბირჟის გარეშე მიღების შემთხვევები, ცენტრალურმა შრომის ბირჟამ წინადადება მისცა ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატს მოხსნას სამსახურიდან 9 მოსამსახურე და მათ ნაცვლად მიიღოს რიგში მყოფი უმუშევრები.

◆ **სამკურნალო დახმარების გაფართოება.** ცენტრალური დამზღვევი კასის პრეზიდიუმმა დაადგინა მიღებულ იქნეს ყოველივე ზომები საბავშო საავადმყოფოს მოსაწყობად, და ფასიანობის პრინციპის შემოუღებლად, დაცულ იქნეს უფლება ცალკე სახელმწიფო დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან მოლაპარაკების წარმოებისათვის, რათა მათ ხარჯზე საავადმყოფოში მოთავსებულ იქნენ აღნიშნულ ორგანიზაც. მუშა-მოსამსახურეების ბავშები. საავადმყოფოს შენობის გასაფართოებლად მთელი საექიმო პერსონალი გამოსახლებული იქნება საავადმყოფოს შენობიდან. სამკურნალო ქვე განყოფილებას დაევალა გამოიყენოს საბავშო საავადმყოფო დიდებისთვისაც.

◆ **უპატრონო ბავშები.** ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა ეთხოვოს სახალხო კომისართა საბჭოს, რათა უკანასკნელმა გაიღოს ულუფა და ტანისამოსი 19 უპატრონო ბავშთათვის, რომლებიც გამოიყვანეს საბავშო საავადმყოფოებიდან გამოჯანმრთელების შემდეგ.

◆ **საბარგო ავტომობილები და ტრამვაის ლიანდაგი.** ტრამვაის დირექციის შუამდგომლობით, ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმმა დაადგინა, გამოიცეს სავალდებულო დადგენილება, ტრამვაის ლიანდაგზე საბარგო ავტომობილის მოძრაობის აკრძალვის შესახებ.

სავალდებულო დადგენილების შემუშავება მიენდო სამმართველოს და კომუნალურ განყოფილებას.

◆ **გამოცდები.** სახალხო განათლების კომისარიატის განკარგულებით თბილისის მე 16 ტეხნიკუმთან (ოლღას ქ. № 4) შესდგა განსაკუთრებული გამომცდელი კომისია ტეხნიკუმის კურს დამთავრების მოწმობების გასაცემად. გამოცდები დაიწყება 20 სექტემბერს, თხოვნების მიღება 18 სექტემბრამდე.

◆ **ქინაქინის შესაძენათ.** ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმმა მისცა ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებას 20 მილიონი მანეთი.

◆ **საბინაო საკითხის მოწესრიგება.** ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმმა თბილისში არსებულ ბინების კრიზისის გამო დაადგინა: 1) მოეწყოს საგანგებო კომისია ყველა საცხოვრებელ შენობების დასათვალიერებლად. 2) დაისვას ქალაქის აღმასკომის სხდომაზე საკითხი საბინაო დეკრეტის გადასინჯვის შესახებ, რათა სახლის პატრონების განკარგულებაში გადავიდეს საცხოვრებელ შენობების 50 პროცენტი. 3) განთავისუფლებული ოთახები უნდა წარმოდგენილ იქნეს 3 დღის განმავლობაში, 4) ახლად დაარსებული დაწესებულებები უნდა მოთავსდენ იმ დაწესებულებათა შენობებში, რომლებთანაც მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი და დაქვემდებარებულნი, 5) მოწვეულ იქნეს აღმასკომის სხდომა დაწესებულებათა წარმომადგენლების თანადასწრებით, რომელზედაც განხილულ იქნება დაწესებულებათა შევიწროების საკითხი და 6) ეთხოვოს სახალხო კომისართა საბჭოს, რომ უკანასკნელმა გასცეს ბრძანება დაწესებულებების მიერ საბინაო ხუთეულის დადგენილების სისრულეში მოყვანის შესახებ.

◆ **კამოს სახელობის ბავშვთა სახლის ფონდში.** თბილისის აღმასკომის სალაროში შემოვიდა შემდეგი შემოწირულებანი ამხ. კამოს სახელობის ბავშვთა სახლის ფონდის გასაძლიერებლად 12 სექტემბერს: 1) თბილისის კვანძის სატრანსპორტო მომხმარებელთა საზოგადოების თანამშრომლებისაგან—6.527.000 მან., 2) მე-8 სტამბის პოლიგრაფიულ განყოფილ. თანამშრომლებისაგან 4.000.000 მან. სულ 10.527.000 მან.

◆ **მუშა ხელის მოძრაობა 12 და 18 სექტემბრის განმავლობაში.** თბილისის შრომის ბირჟის მიერ აღნიშნულია 1236 უმუშევართა გამოცხადება, აქედან 631 მამაკაცია და 605 ქალი. ახლად აღირიცხა 230 უმუშევარი, აქედან 170 მამაკაცი და 60 ქალი. მუშა ხელის მოთხოვნილება იყო 85, აქედან 69 მამ. და 16 ქალზე; გაიგზავნა სამუშაოზე 68 მამ. და 17 ქალი.

◆ **უმუშევრობისაგან დაზღვევა.** ცენტრალურ შრომის ბირჟამ, უმუშევართათვის დახმარების მიცემის დასაჩქარებლად, მისცა პროფ. კავშირთა ცენტრალურ მმართველობის დააჩქაროს იმ უმუშევართა სიის წარმოდგენა, რომელნიც უმუშევრობის გამო უნდა იქნენ დაზღვეულნი აგვისტოს განმავლობაში.

◆ თბ. **სახელმწიფო უნივერსიტეტში** სტუდენტ-მსმენელთა პირველი გამოშვების აღსანიშნავად განძრახულია ახლო მომავალში სამეცნიერო კრებულის „ჩვენი მეცნიერება“-ს გამოცემა, სადაც მონაწილეობის მიღება შეეძლება უნივერსიტ. თანამშრომელთ და ახლად კურს დამთავრებულ სტუდენტებს. კრებულში მოთავსებული იქნება სტატისტიკური ცნობები უნივერ. თანამშრომელთა და სტუდენტ-მსმენელთა შემადგენლობისა უნივერ. გახსნიდან 1922 წლამდე.

სრულიად საქართველოს ცენტრალ. აღმასრულებელი კომიტეტში.

(12 სექტემბრის სხდომა)

მომავალ სესიის შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასკომის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინეს:

სესიის გახსნის დღეთ დაინიშნოს 30 სექტემბერი. დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დღის წესრიგი:

1) მოხსენება პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ (მომხსენებელია ფ. მახარაძე).

2) სამაზრო და სათემო აღმასკომების რეორგანიზაციის პროექტი (მომხსენებელია შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი—ს. გეგეჭკორი).

3) მიწად-მოწყობის დებულების შეცვლისა და დამატების შესახებ (მომხსენებელია მიწად-მოქმედების სახ. კომისარი—ს. თოდრია).

4) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი (მომხსენებელია ს. ქავთარაძე).

5) პროექტი დებულებისა ადვოკატურის შესახებ (მომხსენებელია ს. ქავთარაძე).

6) პროექტი დებულებისა პროკურატურის შესახებ (მომხსენებელია ს. ქავთარაძე).

7) საერთო დებულებანი გადასახადის სისტემის შესახებ (მომხსენებელია ფინანსთა სახალხო კომისარი).

8) მოხსენება სიმშილის შესახებ. (მომხსენებელია ფ. მახარაძე).

კოჯორის შესახებ.

თბილისის ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარის ამხ. წივწივაძის მოხსენების გამო, დაადგინეს:

1) გამოცხადდეს კოჯორის ყველა სახლების ნაციონალიზაცია ავეჯით და ინვენტარით, იმ სახლების გამოკლებით, რომელთა მეპატრონეები მუდმივად კოჯორში ცხოვრობენ და არ გააჩნიათ სხვა მამული.

2) ყველა ნაციონალიზაციით ჩამორთმეული სახლები ისეთების გამოკლებით, რომლებიც ამ ჟამად ირიცხებიან სამაზრო აღმასკომის განკარგულებაში, გადაეცემა თბილისის ქალაქის აღმასკომს საბავშო ქალაქის მოწყობისა და ექსპლოატაციისათვის.

3) წინადადება მიეცეს ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს, რომ მთელი შემოსავალი რომელიც მიიღება კოჯორის ექსპლოატაციიდან დაუყონებლივ გადასცეს ქალაქ თბილისის აღმასკომს.

4) წინადადება მიეცეს სახალხო კომისართა საბჭოს შეძლების დაგვარად დახმარება აღმოუჩინოს ქალაქის აღმასკომს კოჯორში საბავშო ქალაქის გასაშენებლად.

წყნეთის აგარაკი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის მოხსენების გამო დაადგინეს: წინანდელ დადგენილებით ნაციონალიზაცია ქმნილ 17 სახლიდან უკანვე დაუბრუნდეს პატრონებს 10 სახლი: პეტრე ზუბუთოვს, ალექსანდრე ზუბუთოვს, სოლომონ ზუბუთოვს, ხანგიდიანცის, ზახაროვის, ეფემია ჩიმიშკიანის, ოამაშევის. (ექიმი), პაპოიანცის, ტერ საკოვის და დანდუროვის.

ამას გარდა ჩამორთმეულ იქნის ორი სახლი, რომლებიც ეკუთვნიან ტერ-ოგანეზოვს და გიორგი ზუბუთოვს.

ბრძოლა სიმშილობასთან

დამშეულთა დახმარების ორკვირეული

იალტის დამშეულთა დამხმარე საოლქო კომისიის

მოწოდება.

ყირიმის სამხრეთ სანაპიროების დამშეული მცხოვრებნი

მოგმართავთ თქვენ, საქართველოს, აზერბეიჯანის, აბხაზეთის და აჭარის ძვირფასო ამხანაგებო, მუსლიმანებო, გლეხობავ და პროლეტარებო.

თქვენ აზერბეიჯანის სამთო-მადნო მუშების კავშირს, ბაქოს მელითონეთა კავშირს.

თქვენ ამიერ კავკასიის რკინის გზის მუშებს და ბათუმის მუშებს მხურვალე მოწოდებით დახმარების აღმოჩენის შესახებ.

იმპერიალისტურმა, ხოლო შემდეგ 3 წლის სამოქალაქო ომმა გაანადგურეს ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა მცხოვრებნი, ძირი გამოუთხარეს ჩვენ სასოფლო მეურნეობას, ხოლო შიმშილობის აზვირთებულმა ტალღამ შეიწირა ათასზე მეტი ადიმიანის მსხვერპლი, უმთავრესად ბავშვები და დაუძლურა მიწის მუშაკები.

დაცალიერებულია დაუმუშავებელი თამბაქოს პლანტაციები, აღარ არის მუშაობა ვენახების და ხეხილის ბაღებში. სოფლის მცხოვრებს ხელიდან გამოეცალა თავისი არსებობს წყარონედლი მასალა პურზე გამოსაცვლელად,

რათა ბოლო მოეღოს სიკვდილის დაუსრულებელ ზრდას, იალტის დამშეულთა დამხმარე საოლქო კომისიამ დაუყოვნებლივ მოახმარა დახმარების საქმეს ყველა მის განკარგულებაში მყოფი რესურსები.

მაგრამ კომისიის რესურსები საკმაო არ აღმოჩნდა.

ახლოა ის მომენტი, როდესაც საკვებ პუნქტებს მიეცემათ უკანასკნელი ტომარა ფქვილი.

რათა დამშეულთა სიკვდილისაგან გადარჩენას არ მიეცეს დროებითი ხასიათი, საჭიროა დახმარება, დახმარება რათაც არ უნდა დაგვიჯდეს იგი.

ყირიმის სამხრეთის სანაპიროს, ოდესღაც აყვავებულ მხარეს, საბჭოთა რუსეთის მარგალიტს ემუქრება სიკვდილით განადგურება და გაველანება, შიმშილობის ნიადაგზე.

დააჩქარეთ დახმარება, ძვირფასო ამხანაგებო, ველით დახმარებას.

იალტის დამშეულთა დამხმარე საოლქო კომისია.

—

დამშეულთა დახმარების ორკვირეულის მომწყობი ც. კომისიისაგან.

შემოწირულებათა აკრეფას ინსტრუქციის დამატებით ცხადდება, რომ ის ხელმოსაწერი ფურცლები და მანდატები არის ნამდვილი, რომელსაც აქვს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. სამუელიანის და ც. კომისიის მდივნის ამხ. ვულფოვიჩის ხელმოწერა და რომელსაც დასმული აქვს დამშეულთა დამხმარე კომიტეტის ბეჭედი.

ც. კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **სამუელიანი.**

მდივანი **ვულფოვიჩი.**

ხელოვნება

რუსთაველის თეატრი. ქართული აკადემიური დასი უკვე საბოლოოდ შედგა და ორშაბათიდან შეუდგებიან რეპეტიციებს. რეპერტუარი მუშავდება და ამ დღეებში გამოქვეყნდება. სეზონის გახსნა განზრახულია ოქტომბრის უკანასკნელ რიცხვებში შალვა დადიანის ისტორიული პიესა „ვარამი“-ით, რომლის სიუჟეტი აღებულია მე-12 საუკუნიდან (თამარის ხანა). ეს პიესა ავტორმა ორჯერ წაიკითხა მსახიობთა და ლიტერატორთა შორის და დიდი ინტერესი გამოიწვია. პიესისათვის მზადდება სრულიად ახალი დეკორაციები, საუკეთესო მხატვრების მიერ. პიესას დადგმას რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.

— **ბლიუმენტალ-ტამარინის უკანასკნელი გასტროლი.** დღეს, რუსთაველის თეატრში გაიმართება ბლიუმენტალ-ტამარინის უკანასკნელი გასტროლი. წარმოდგენილი იქნება „კინი“.

— **ქართული თეატრი ბაქოში.** ბაქოს ქართველ კოლონიას გადაწყვეტილი აქვს ზამთრის სეზონში დადგას სისტემატიურად ქართული წარმოდგენები. დასის შესადგენათ ტფილისში ჩამოსულია გ. მატარაძე, რომელიც უკვე აწარმოებს მოლაპარაკებას ქართველ მსახიობებთან.

— **რუსული დრამა.** წელს ტფილისში რუსული დრამის დასი იმუშავებს სახელმწიფო პატარა თეატრში. დრამის ადმინისტრაციას მოლაპარაკება აქვს ცნობილ რეჟისორ მარჯანიშვილთან დასის სახელმძღვანელოთ.

— **სახალხო სახლი** სახალხო სახლის ქართულ წარმოდგენების მმართველი წრე უკვე შეუდგა მომავალი სეზონის სამზადისს. სეზონში დროგამოშვებით ახალ პიესების დასადგამათ მიწვეულია რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი. მუდმივ რეჟისორათ კი ნიკო გოცირიძე.

— **რუსთაველის თეატრის შეკეთება.** 20 სექტემბრიდან დაიწყება რუსთაველის თეატრის შეკეთება, მოსამზადებელი ტეხნიკური მუშაობა და რეპეტიციები ქართულ სახელმწიფო დრამის საზამთრო სეზონისთვის.

— **ქიათურის თეატრი.** ქიათურიდან ჩამოვიდა ადგილობრივი დრამატიულ სექციის რწმუნებული ვ. ბარველი ქართველ მსახიობების მისაწვევად ქიათურაში.

—**არტურ-ლეისტის იუბილე.** სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირის მთავარ კომიტეტის დადგენილებით ამ ახლო მომავალში ტფილისში გაიმართება გერმანელი მწერლის და ქართველი ხალხის დიდი მეგობარი არტურ ლეისტის 40 წლის იუბილე. კრება, საიუბილეო კომიტეტის ასარჩევათ გაიმართება 18 ოქტომბერს, ხელოვანთა სასახლეში.

დღეს თეატრებში.

რუსეთის თეატრი—ვ. ბლიმენტალ-ტამარიანის გასტროლი „კინ“. ქართული კლუბის საზაფხულო თეატრში—საღამო-კონც. საზაფხულო წრე—საცეკვაო საღამო. სახალხო სახლი—ბუდკოვიჩის მონაწილეობით „რომან“. სომხური კლუბის თეატრი—საღამო სეირნობა. მუშათა ცენტრ. კლუბი—სპექტაკლი. ცენ. მ. კლ. ახალი თეატრი—კინო. თეატრი ნიღაბი—მოსკოვის ციგანების კონცერტი და მურატოვის კონცერტი. ახალი კლუბი—(ყოფილი არლეკინი) საბავშო სეირნობა. პროფ. კავშირთა საბჭოს კლუბი—კონცერტი. ცირკი—მრავალფეროვანი პროგრამა.

ეკონომიური ცხოვრება

შეშის დამზადება

ადგილობრივ შეშის დამზადება მიმდინარეობს ნორმალურად. ამ ჟამად ფოთის და შორაპნის რაიონებში უკვე დამზადებულია დაახლოვებით 10.000 კუბ. საჟენი.

საგარეჯოს რაიონში სწარმოებს მუშაობა სამი ათასი კუბ. საჟ შეშის დასამზადებლად.

მთელი ეს რაოდენობა გადაიზიდება რკინის ლიანდაგთან, მაგრამ ტფილისში ჩამოტანა ფერხდება იმ გარემოებით, რომ რკინის გზაზე ერთი ვაგონის ფრახტი აიწია ათ მილიონამდე შეშის თვითღირებულება კი უდრის 5—6 მილიონ მანეთს.

სატყეო კომიტეტმა შეიტანა მოხსენებითი ბარათი საკავშირო საბჭოს სატარიფო კომიტეტში, ტარიფის შემცირების შესახებ.

შეშით პირველ რიგში დაკმაყოფილებული იქნებიან მუშები, რასაც მოუნდება ხუთი ათასი კუბიკური საჟენი, შემდეგ-კი სახელმწიფო დაწესებულებები, რასაც დასჭირდება კიდევ ხუთი ათასი კუბიკური საჟენი. დანარჩენი მოხმარდება ბათომის, ქუთაისის და ფოთის მოთხოვნილებას.

მუშებისადმი შეშის თავის დროზე მიწოდების მოსაწყობად სატყეო კომიტეტი მოლაპარაკებას აწარმოებს პროფკავშირთა საბჭოსთან და ამ დღეებში ეს საკითხიც მოწესრიგებული იქნება.

ყოველ შემთხვევაში მუშები, თავიანთ პროფკავშირების საშუალებით, ფულის თავის დროზე გადახდის დროს, სავსებით დაკმაყოფილებული იქნებიან შეშით.

რკინის გზას ეძლევა 4 ათასი კუბიკური საჟენი, ამ რიცხვიდან ერთი ათასი უკვე ჩაბარებულია; დანარჩენის ჩაბარება სწარმოებს.

ამის გარდა ქუთაისის და საჭილაოს ხე ტყის სახერხ ქარხნებში დამზადებულია რვა ათასამდე ქორთუხი, რომელნიც იგზავნებიან ცხენის წყლით და რიონით.

ზუგდიდის მაზრის ს. ჯვარიდან ენგურით იგზავნება ანაკლიაში კიდევ 12 ათასი ქორთუხი. თბილისის ქარხნებში მომარაგებულია კიდევ 1000 ქორთუხი და ყოველ დღიურად მოდის ახალი ტივები. საწყობებში სულ არის დამზადებული 100 კუბიკური საჟენი შეშა.

ყველა ქარხნები, მაგ. ფოთის, ნატანების, ნაჲაონახევის, რედუტ კალის უზრუნველყოფილია ნედლი მასალით და მუშაობა მიმდინარეობს ჩქარი ტემპით.

მუშათა ცხოვრება

ყოვლად მიუღებელია

მუშა მოსამსახურეების ზოგიერთი ნაწილი პოლიტიკურ განვითარების მხრივ ძალიან ჩამორჩენილია და მათში კლასიური შეგნება მცირეა. ასეთი მუშა მოსამსახურეები ხშირათ ვარდებიან ხაზეინის გავლენაში და თავის ინტერესების წინააღმდეგ გამოდიან ხაზეინის დამცველის როლში. აქვე აღვნიშნავ ამ მხრივ ერთ დამახასიათებელ ფაქტს. ამას წინათ დააჯარიმეს მეფურნე ეტრეკჩინი შრომის კანონების დარღვევისათვის. ამ ფურნის მუშებმა ხაზეინთან ერთად აღძრეს შუამდგომლობა, რომ გაეუქმებიათ ხსენებული ჯარიმა. ეს საქციელი ყოვლად მიუღებელი და სასირცხვოა. მუშების ასეთ ნაწილში საჭიროა მეტი კულტურული და პოლიტიკური მუშაობა, რათა ისინი კლასიურ შეგნების სიმაღლეზე დადგნენ. ეს ითქმის სავაჭრო საწარმოო დაწესებულების მოსამსახურეებზე და კერძოთ ფურნეში მომუშავეებზე.

კ. ლ.

ბორჩალო

აქ მუშა მოსამსახურეთა მდგომარეობა ჯამაგირების თავის დროზე დაურიგებლობის გამო ძალიან მძიმე იყო.

ამ ჟამათ კოლექტიური ხელშეკრულებები იდება და ეს იწვევს მუშა-მოსამსახურეების მდგომარეობის საგრძნობ გაუმჯობესებას. ესევე კოლექტიური ხელშეკრულება ხელს უწყობს მუშათა მასების ორგანიზაციულათ შეკავშირებას, გაერთიანებას. დღეს ყველა ხედავს პროფკავშირის დიდ მნიშვნელობას და ყველა ილტვის იქეთკენ. საქმეს აბრკოლებს მხოლოთ პროფმუშაკთა სიმცირე. სასურველია ცენტრი ამ მხრივ ყურადღებას მოგვაქცევდეს.

ბორჩალოელი.

პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 ლიტოგრაფია

ეს ლიტოგრაფია მოთავსებულია პლეხანოვის პროსპექტზე მოხერხებულ და სინათლიან ადგილას. ლიტოგრაფიას ამ ჟამათ რემონტს უკეთებენ და შენობას კიდევ უფრო აფართოვებენ. მალე აქ გადმოიტანენ პირველ ლიტოგრაფიასაც. ტეხნიკურ მოწყობის მხრივ ნაკლათ ჩაითვლება ცივი ცემენტის იატაკი. ეს გარემოება მოსამსახურეების ჯანმრთელობაზე ძალიან მძიმეთ მოქმედობს. უეჭველად საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეოდეს და ცემენტის იატაკზე ფეხ დასადგმელ ფიცრებს მაინც დააგებდენ. ეს არც ძვირი დაჯდება და იოლი მოსახერხებელიცაა.

მოსამსახურე.

საქონლის სადგურის მუშების საერთო კრება

ოთხშაბათს, 13 სექტემბერს თბილისის საქონლის სადგურზე, მოძრაობის მოსამსახურეთა შენობის დარბაზში შესდგა ხსენებულ დარგის მუშა-მოსამსახურეთა მრავალრიცხოვანი კრება. კრებაზე იდგა მარტო ერთი კითხვა: მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. ამ კითხვაზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ჩვენი პარტიის მასწავლებელი ამხ. ფილიპე მახარაძე. ამხ. ფილიპემ ნათლად და გარკვევით გადმოუშალა კრებას შექმნილ მძიმე ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა მსოფლიო მასშტაბით გამოხატული და დაასკვნა, რომ აი ამ მძიმე ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობიდან გამოდის, წელში იმართება, იზრდება და მტკიცდება მხოლოდ კაპიტალიზმის უღლიდან თავ დაღწეული, პროლეტარული სახელმწიფოები. ხოლო კაპიტალისტური ქვეყნები კი ლპება და ირღვევა. მან ბოლოს მოიყვანა მრავალი მაგალითები საქართველოს ცხოვრებიდან თუ რა გაუკეთებია და კეთდება აღმშენებლობის სფეროში, საქართველოს ეკონომიური წარმატებისა და პოლიტიკურათ განმტკიცებისათვის.

მოხსენების დასასრულ ილაპარაკეს ზოგიერთებმა. აღსანიშნავი იყო ერთი „მომენშევიკო" კონდუქტორ ჯანელიძის სიტყვა რომელმაც საქმეთა მთავრობის დადებით, მშენებლობის სფეროში ნაყოფიერ მუშაობას დასტური დაჰკრა, მაგრამ ვერ „მოუთმინა" გულმა და აღნიშნა მაინც, რომ ასეთი მშენებლობის გაჩაღება შეეძლო და სურდა კიდეც წინანდელ მენშევიკურ მთავრობასაც, რომ გარეშე შემორტყმულ მრავალ მტრებს მოსვენება მოეცათ, არ შეეშალოთ ხელით.

ამხ. ფილიპემ ღირსეული პასუხი გასცა მას ამაზე, რითაც საერთო კმაყოფილება გამოიწვია კრებისა.

დასასრულ მიღებული იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

ჩვენ, თფილისის რკინის გზის მოძრაობის დარგის მუშა მოსამსახურეებმა მოვისმინეთ რა ამხ. ფილიპე მახარაძის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, ვასკვნით,—მუშათა კლასის ინტერესები ერთია მთელ მსოფლიოში; მუშათა კლასი ებრძვის თავის ისტორიულ მტერს, კაცი ჭამია კაპიტალისტებს. მუშათა კლასის მოუთმენელი მიზანია დაამხოს ეს დაუნდობელი ბურჟუაზიული წყობილებები მთელ მსოფლიოში და სახელმწიფოებრივი ძალაუფლების საჭე მანვე აიღოს ხელში თავიანთი ბედის საჭედლათ. რუსეთის მშრომელმა ხალხმა და მისმა მოწინავე რაზმა—პროლეტარიატმა პირველმა შესძლო მთელ მსოფლიოში დაენგრია ფეოდალური და ბურჟუაზიული წყობილებები და აეღო ხელთ ძალა უფლება, რომელიც აგერ ხუთი წელიწადია იცავს მთელი ქვეყნის კონტრ რევოლიუციონერების შემოსევისაგან. მათ გაიმარჯვეს სამხედრო ფრონტზე; ისინი გადავიდენ სამეურნეო ფრონტზე და იმარჯვებენ აქაც. მათი გამარჯვება თავდებაა იმისა, რომ მშრომელ ხალხს შეუძლია სახელმწიფოს მოვლა პატრონობა და მისი აყვავება. მას უნდა დაეხმაროს მსოფლიო პროლეტარიატმა საერთაშორისო პროლეტარული რევოლიუციის მოხდენით, რომელიც სამუდამოთ დამარხავს ბურჟუაზიულ წყობილებებს ყველა ქვეყნებისას და მათ ხელმძღვანელ ლოიდ ჯორჯ პუანკარეებს.

გაუმარჯოს მსოფლიო მუშათა კლასის სოლიდარობას ამ ბრძოლაში!

გაუმარჯოს პროლეტარულ რევოლიუციას!

გაუმარჯოს კომუნიზმს.

სევასტი.

პარტიული ცხოვრება—

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი აცხადებს, რომ კოოპერატიულ დაწესებულებებში მომუშავე ამხანაგების

რეგისტრაციის უკანასკნელ დღეთ დანიშნულია 16 სექტემბერი

რის შემდეგ შეწყვეტილ იქნება რეგისტრაცია. ის ამხანაგები, რომლებიც ამ ვადის განმავლობაში არ გატარდებიან რეგისტრაციაში, იქნებიან პასუხის გებაში მიცემულნი პარტიული დისციპლინის წესით.

(2—2) თბილისის კომიტეტის მდივანი: **კახიანი.**

ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის ფრაქციის ბიურო

აცნობებს ყველა კომუნისტებს და კანდიდატებს, რომლებიც შეერთებული არიან ზემოხსენებულ კავშირში, რომ 17 სექტემბერს, დილის 9 საათზე, კავშირში (მუშათა სასახლე მე 4 სართული მე 69 ოთახი) შესდგება ფრაქციის სხდომა ფრიად საგულისხმო საკითხების გამო.

ყველას დასწრება სავალდებულოა.

(3—2) ფრაქციის მდივანი: **ბორის ჩიხტიაკოვი.**

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტი

წინადადებას აძლევს ყველა პოლონელ—კომუნისტებს და იმ ამხანაგებს, ვინც პოლონური ენა იციან, ერთი კვირის განმავლობაში ჩაეწერონ საქ კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილებაში

2—1 თფილისის კომიტეტის მდივანი **კახიანი.**

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება

წინადადებას აძლევს თფილისის ორგანიზაციის ყველა წევრებს, ვისაც სურთ შევიდენ მუშათა ფაკულტეტებზე, წარმოადგინონ არა უგვიანეს 17 სექტემბრისა თხოვნა, თბილისის კომიტეტის სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილებაში ჩარიცხვის შესახებ.

თფილისის კომიტეტის სააგიტაციო საპროპაგანდო
განყოფილების გამგე **მ. ესხენი.**

სასოფლო მეურნეობა

რა ესაჭიროება ჩვენს ხვნა თესვას?

ვინც ჩვენ ხვნა-თესვას დაჰკვირვებია, ის ცხადათ დაინახავდა, რომ ისეთი ჭრელი მოსავალი იცის ჩვენმა მამულმა საერთოთ, რომ აქ ძნელი ხდება ერთგვარი ხარჯთ აღრიცხვის შედგენა და სამეურნეო ერთეულის შემოსავლის დასურათება, როცა მევენახეობაში, ან რომელიმე სხვა დარგში ეს ანგარიში ადვილი შესადგენია, ხვნა თესვაში ეს ძლიერ ძნელდება და აი რათა: სახეში მაქვს მხოლოდ ქართლის სოფლები, საცა მამულები ირწყვიან. აქ მოსავალი ჭირნახულისა დღიურზედ უნდა ვიანგარიშოთ 15 ფუთიდან დაწყებული 60 ფუთამდე ხორბალი და იმდენივე სიმინდი, ლობიო 3 ფუთიდან 10 ფუთამდე, ლობიო ცალკე არ ითესება, იგი ერევა სიმინდში,—აბა მოდი და ივარაუდე აქ მეურნეობის მოწყობა. ციფრები მოსავლისა ერთმანეთს დაშორებულია თხუთმეტიდგან სამოცამდე.

როცა უცხოელ მეურნეს წინდაწინვე ძლიერ დაახლოებით შეუძლიან გამოანგარიშება შემოსავალ გასავლისა, ჩვენსას ეს ვერ შეუძლიან და ალალ ბედათ რჩება მისი საქმე. არც თავათ და არც სხვა ვინმემ არ იცის რა მოელის მის მეურნეობას წლის ბოლოს.

ერთი უპირველესი მიზეზთაგანი ამისა არის ის, რომ ჩვენში მეურნეობას ეწევა ბევრი უსაქონლო, უხარო, ან სულ მცირე საქონლიანი; და უსაქონლო, ან მცირე საქონლიანი მეურნეობა ხომ ნახევარ მეურნეობაა, მეურნეობა დაკოჭლებული.

დაკვირვებით, დაახლოვებით ქართლის შუათანა სოფელში იქნება 30 პროც. სულ უსაქონლო, ან ერთ ძროხიანი; უღელ ხარიანი და ერთ ძროხიანი მეურნე იქნება 30 პროც., ყევარ ხარ-კამეჩიანი და ორძროხიანი 20 პროც. და ყევარ ხარ კამეჩზედ მეტიანი მთელი სოფლის მაცხოვრებლების არა უმეტეს 15 პროცენტისა.

ფაქტია, რომ ქართლში ხვნა თესვა ზარალის მეტს არას მისცემს მეურნეს, თუ, რასაკვირველია, თავისი და ოჯახის შრომაც ანგარიშში ჩააგდო, თუ მიწას არ ანოყიერებს.

მოსავალი ძლიერ მცირე იქნება და ხარჯს არ დაჰფარავს; თავის დროზედაც რომ ხნა, კარგათაც რომ მოხნა, კარგი თესლითაც რომ დათესო, არც ვადაზედ მორწყვა დააკლო, მაინც საშუალო მოსავალს ძლივს მიიღებ, ე. ი. საშუალოს 37 ფუთს დღიურზედ, როდესაც გაპატივებული მიწა კი მოგცემს დღიურზედ არა ნაკლებ 60 ფუთს და თუ ხელშემწყობი ამინდი დაუდგა, ხომ ეს მოსავალი 80 ფუთამდე და 100 ფუთამდინაც აიწევს. მაშასადამე რა სჭირია ჩვენს ხვნა თესვას? ნიადაგის გამპოხიერებული მასალა, საქონლის პატივი, უკანასკნელი ახლა არ იშოვება და პირველისთვის, როგორც ვიცით, საჭიროა საქონლის ყოლა.

წელიწადში ხუთი თვე, გიორგობისთვიდან დაწყებული მარტის გასვლამდე, ერთი სული რქიანი საქონელი, როცა ის ზღვეებზედ აბია, მოგვცემს ხუთს ურემს პატივს. ერთი დღის მიწას გაპატივება რომ შეეტყოს, ორმოცი ურემი მაინც უნდა და და, მაშასადამე, რვა სული საქონელი უნდა ებას ბაგაზედ მეურნეს, რომ ყოველ წლივ თითო თითო დღიური მაინც გააპატივოს და მოიყვანოს მოსავალი 60—80—100 ფუთამდე დღიურზედ მაშასადამე, აქედან ჩანს, რომ ჩვენში ამგვარი მოსავლის მიღება შეუძლიან მხოლოდ 20—30 პროც. ყველა მცხოვრებელთა და დანარჩენისთვის იკარგება ეს მოსავალი პატივის უქონლობის გამო. მაშ სად არის ხსნა, რა უნდა ვქნათ, რომ ჩვენ ჩვენი ჭირნახული გვეყოს, და არამც თუ თავი გავიტანოთ ხოლმე როგორმე, არამედ ჩვენი მოთხოვნილების დაკმაყოფილების გარდა ზედმეტიც გვქონდეს ბაზარზედ გამოსატანათ.

უნდა ვეცადოთ საქონლის გამრავლებას სოფლად და ან ხელოვნური მიწის გამაპატივებელი მასალა ამოვაჩინოთ ჩვენი მეურნესათვის, შემოტანილი იქნება ეს უცხო მხარიდან, თუ ჩვენსავე ქვეყანაში აღმოჩენილი.

ამ მხრივ დიდი მზრუნველობა გვმართებს და თუ ამას ანგარიშს გაუწევთ, ჩვენი მეურნეობა მტკიცე ნიადაგზედ დადგება მაშინ.

ვახო ზიბილაშვილი.

პროვინციაში

ს. ეწერი

(ერკეთის თემი).

ამ სოფლის (და მეზობელ სოფლების, რომლებიც აკრავს ამ სოფელს) მკვიდრთა შორის დაიბადა სურვილი სახალხო სახლის აგებისა. ჯერ კიდევ ოთხი წლის წინად ამ საქმის მოსაწყობათ არჩეულ იყო კომისია, მაგრამ ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზების და უმთავრესათ ფულის კურსის სწრაფი ცვალებადობის გამო,—ეს საქმე დღემდი ვერ იქნა სისრულეში მოყვანილი. დღეს მეტის გაცხოველებით და ენერგიით შეუდგა ხალხი ამ საქმის მოწყობას და აირჩია ახალი კომისია, რომელიც მხნედ და ენერგიულად მუშაობს.

მაგრამ ყველასათვის ცხადია, დღევანდელ პირობებში ასეთი საქმის გაკეთება ადვილი არ არის, და საჭიროა დახმარება; ამიტომ კომისიამ მიმართა მოწოდებით, დროებით სხვა და სხვა ქალაქებში მყოფ ამ სოფლის მკვიდრთ—კერძოთ, და კულტურულ საქმისთვის ყველა გულ შემატკივართ—საერთოდ—გაიღონ თავიანთი წვლილი ამ დიადი საქმისათვის.

კომისია დარწმუნებულია, მისი ხმა ფართო გამოძახილს ჰპოვებს და სულ მოკლე ხანში ეწერის მოედანზე აიგება ხელოვნების ტაძარი—სახალხო სახლი.

მოწოდების ფურცლები დარიგებულია დაინტერესებულ პირებზე და დაწყებულია შემოწირულების შეგროვება.

შემოწირულებას მიიღებენ, თბილისში: ბეგლარ ძღენტი, ილიკო თოდრია, ლუკა კობიძე, ნიკოლოზ კობიძე, კარპეზ ბერიძე და აკაკი სვანიშვილი. ბათომში: სიმონ ბერიძე, ლეონტი ფირცხალავა, პასი შაქარიშვილი და ისაკ კობიძე. ჭიათურაში ანდრო კობიძე. ოზურგეთში ივანე უჯმაჯურიძე. ყარაიაზში არქიფო კობიძე. ჩოხატაურში და ერკეთში ალექსანდრე კობიძე.

კომისიის მონდობილობით **ლადო კობიძე.**

ჯავახეთი.

ამ დღეებში გაიმართა თემის აღმასკომების თავმჯდომარეთა ყრილობა. დღის წესრიგში იყო მაზრისათვის დიდი მნიშვნელობის საკითხები: გადასახადის საკითხი, სახალხო განათლების მდგომარეობა, გაფუჭებულ გზების შეკეთება, განყოფილებების მოხსენება, ხარჯთ-აღრიცხვა და სხვა.

უნდა ითქვას, რომ ყრილობამ საქმიანად განიხილა დღის წესრიგში დასმული ყველა საკითხები და მიიღო სათანადო პრაქტიკული და საქმიანი რეზოლიუციები.

მაზრაში ამ ჟამად, ეჭვს გარეშეა, მთელი ყურადღება სასურსარო გადასახადის კამპანიაზეა მიქცეული.

პარტიულ კომიტეტის მიერ თითქმის ყველა თემებში გატარებულია ეს კამპანია. აკრეფა უკვე დაწყებულია. სასურსათო გადასახადი პირველად შემოიტანა ოკამის თემმა ე. ი. მცხოვრებთა სამუსილმანო ნაწილმა. სოფლიდან ქალაქამდე საზეიმო პროცესია გამოჰყვა სასურსათო გადასახადით დატვირთულ ურმებს. წინ მიდიოდა „სოფლის კავალერია" წითელი დროშებით და ადგილობრივი „ზურნა". მათ მიჰყვებოდა გლეხების ჯგუფი. ქალაქ გარეთ ქალაქი მცხოვრებნი და ყველა დაწესებულებების თანამშრომელნი პარტიული კომიტეტისა და აღმასკომის ხელმძღვანელობით გამოვიდნენ შესახვედრათ და ინტერნაციონალის სიმღერით მიიღენ სასურსათო გადასახადი. საწყობის მახლობლად გაიმართა მიტინგი სასურსათო გადასახადის პირველი შემოტანის გამო, სადაც პარტიული კომიტეტისა და აღმასკომის წარმომადგენლებმა აღნიშნეს სასურსათო გადასახადის მნიშვნელობა ქალაქის და სოფლის მეურნეობის აღდგენაში. ამის შემდეგ 700 ფუთამდე მარცვალი მიტინგის მონაწილეთა მიერ გადატანილ იქნა საწყობში.

ამავე წესით იქნა მიღებული მეორე პარტია 10 სექტემბერს ვაჩიანის თემიდან

და ბოლოს ხანების, ბეგების, დაშნაკების და მენშევიკების უფლებისაგან განთავისუფლებული ჯავახეთის გლეხობა დღესასწაულობს თავის სოლიდარობას ქალაქის მცხოვრებლებთან, როგორც სთქვა სამუსლიმანო მცხოვრებთა წარმომადგენელმა მიტინგზე.

გუშინ ჩვენთან შემთხვევით მოვიდნენ „მოსკოველები" ამხ სოკოლნიკოვი, ვარდიანი და სხვები, და კავკასიის ცალკე არმიის უფროსი ამხ. ეგოროვი, ლისოვსკი და სხვ. მაგრამ საუბედუროთ დარჩენ მხოლოდ რამოდენიმე წუთს.

სეირანი

საოცარი მოვლენა სტიქიისა.

გურია. სოფელ ბუკის ციხე

საღამოს ოთხი საათი იქნებოდა, რომ კოკისპირული წვიმა წამოვიდა 7 სექტემბერს და გასტანა ორ დღე და ღამეს, ძნელია წარმოიდგინოს ადამიანმა ისეთი წარღვნისებური ბნელი წვიმიანი ღამე, როგორითაც დღე მდა 7 სექტემბერი. აქა იქ გაიგონებდით გულშემზარავ ადამიანთა გამოძახილს „გვიშველეთ, გვიშველეთო," ამას ზედ ერთოდა პირუტყვთა ზღავილი და ძაღლების ყეფა. ელვის სინათლეზედ გაარჩევდით, რომ რაღაც ნაირი ბეღი ადიოდა ჩვენ დახრამულ სოფელს. ყველა ამ სოფლის მცხოვრებლები მოველოდით შავის „მეწყერის" ზვერთებში შერევას და ასეთი მოლოდინის შემყურე ადვილათ წარმოსადგენია რა განცდასაც განიცდიდა, გათენდა 8 სექტემბერი და ყველამ მიაპყრო ყურადღება თუ რა მოხდა ამ წარღვნის ღამეში. მდინარე სუფსა, რომელიც ბოლოზე ჩამოუდის ჩვენს სოფელს, ნაპირებიდან გადმოსულიყო და დაენგრია მახლობელი სანაპიროების წისქვილები, ვენახები, ყანები და მოსახლეობა. ქვის გული და ასი ენა უნდა ჰქონდეს ადამიანს რომ ეს უბედურება სავსებით აწეროს საითაც უნდა მიიხედოთ ყოველგან ტირილი და ვაება მოგესმის. ადიდებულმა სუფსამ წაიღო ფილიპე კალანდაძის სახლი და გზა შარაზე დაყარა შვიდი სულისაგან შემდგარი წვრილ შვილიანი მოსახლე ოჯახი, რომელიც განიცდის უკიდურეს სიღარიბეს. მოვარდნილ ღვარისაგან გაფუჭებულია გზები, ისე, რომ სამი თვის მუდმივი მუშაობა არის საჭირო რომ აღდგენილი იქნეს ცხენებით ტვირთის გატანა-გადმოტანა. რაც შეეხება ურმის მიმოსვლას, ჩვენ სოფელში მაგაზე ფიქრიც მეტია. არსად ყანა არ არის, რომ შავი (მეწყერი) არ იყოს ჩამოსული და წალეკული.

განადგურებულია პროფესორ ნიკო მარრის სამოსახლო და ყანები, განადგურებულია და სრულიად წალეკული სოფელ ბუკის ციხის საგურგენიძო და საკალანდაძო წისქვილები ამავე სოფელში ჰალის ყანები და ვენახიანი ხეები სრულიად წალეკილი და წალეკულია. წალეკულია აგრეთვე ჯანის ყურძნის მინდვრები ნათესებით და სიმინდის ყანებით. მეზობლისას მიმოსვლა შეწყვეტილია უგზოობის გამო, ერთი სიტყვით ამ სოფლის მცხოვრებლები ჰაერზე გამოკიდებულათ გრძნობენ თავს, რის გამოც სასოწარკვეთილებაშია ჩავარდნილი და საჭიროა მთავრობის დიდი ყურადღების მიქცევა დროზე.

სერგო ქორიძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 49.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

საწარმოო და სხვა დაწესებულებებში სარელიგიო წესების ასრულების აკრძალვის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. აღსრულება სახელმწიფო ან საზოგადოებრივ საწარმოო და სხვა დაწესებულებებში სარელიგიო წესებისა, აგრეთვე მოთავსება ამ დაწესებულებათა შენობებში რაიმე სარელიგიო ნახატებისა დაისჯება იძულებითი მუშაობით სამ თვემდე, ან ჯარიმით 300 მანეთამდე ოქროთი.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ხ. ქავთარაძე.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის მოადგილე **ა. აფანასიევა**

1922 წ. სექტემბრის 15.

თბილისი-სასახლე.

დადგენილება № 50.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი. სახელმწიფო საწარმოო და სხვა დაწესებულებათა თანამშრომლების დაპატიმრების შემთხვევაში ამა დაწესებულებათათვის ცნობის სავალდებულოდ გაგზავნის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ყოველი უწყების თანამ[illegible] პირი, რომელსაც [illegible] ლი აქვს [illegible] მოვალეა იმ შემთხვევაში, [illegible] დაპატიმრებული სახელმწიფო საწარმოო და სხვა დაწესებულების თანამშრომელი იქნება,—აცნობოს ამის შესახებ დაპატიმრებულის უშუალო უფროსს არა უგვიანეს ოცდა ოთხი საათისა დაპატიმრების წამიდან.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ხ. ქავთარაძე.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის მოადგილე **ა. აფანასიევა.**

1922 წ. სექტემბრის 15.

თბილისი-სასახლე.

სარედაქციო კოლეგია.

გულდამწვარი ქმარი ივანე ვასილის ძე სვანიძე შვილებით თანათინ და რუსუდანი, რძალი ელენე სვანიძისა შვილებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ, და ნაცნობთ, რომ კვირას, სექტემბრის 17-ს, ქაშუეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში წირვის შემდეგ 12 ნახ. საათზე გადახდილი იქნება საორმოცო პანაშვიდი

ოლღა (გოგუცა) ივანეს ასული
სვანიძისა

(323—2—1)

გულდამწვარი დაკოდილი მშობლები იახონ და თამარ ჯაბილა
ცრემლის მორევით და გულაჭვრიტინებით აცხადებენ, რომ წითელა-
ზე მოყოლებით 4 თვის მძიმე ავადმყოფობის შემდეგ წაღვერიდან
თბილისს ექიმების რჩევით კლინიკური მკურნალობისათვის წამოყვა-
ნის დროს სადგურ ქსანის მახლობლად 13 სექტემბერს დილის 7 ს.
მატარებელში გარდაიცვალა მათი უსაყვარლესი შვილი

ოქროპირ-გულიკო

სთხოვენ ნათესავებს, ამხანაგებსა და მეგობრებს პატივი სცენ მათ
დასაფლავების პროცესიაში მონაწილეობით. მიცვალებულის გამო-
სვენება მოხდება მიხეილის საავადმყოფოდან კვირას 17 სექტემბერს
საღამოს 5 საათზე ახალი დროით, დასაფლავება ნიკოლოზის სასა-
ფლაოზე, ვერაზე.

(443—2—1)

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
სამკურნალო
საწოლი ოთახებით
მიხეილ გედევანიშვილისა
ტფილისი, ყორღანოვის ქუჩა № 20, ტელ. 7—91.
(304—25—5)

გაზეთის ტრესტის პროვინციალურ
კონტრ-აგენტების
საყურადღებოთ

გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორამ გაიგო, რომ ზოგიერთი
კონტრ-აგენტები აჩერებენ 2—3 დღეს გაზეთებს, რომელიც მათი
საშუალებით ეგზავნებათ პარტიულ კომიტეტებს, აღმასკომებს და
სხვ. გაცნობებთ, რომ გაზეთების შეჩერება დაუშვებელია. კონტრ-
აგენტი, რომელიც შემჩნეულ იქნება გაზ. დაგვიანებაში, დაუყონებ-
ლივ დაჰკარგავს წარმომადგენლობის უფლებას და მიეცემა პასუხის-
გებაში. (0—22

თბილისის ქალაქის აღმასრულებელ
კომიტეტის მიწათ-მოქმედების განყ
ფილება უკანასკნელად აცნობებს

ყველა სახლის პატრონებს, რომ სახლებას რეგისტრაც
ში გატარებლად საანკეტო ფურცლების წარმოდგე
ვადა გაგრძელებულია 20 სექტემბრამდე, ხოლ
სარეგისტრაციო ბარათების გაცემის ვადა
ოც ოქტომბრამდე
სახლის მფლობელობა, რომელიც არ გატარდება რე
სტრაციაში გამოცხადებული იქნება უპატრონოთ და
მოცხადდება ქალაქის საკუთრებათ.
(287—2—2)

ქ. თბილისის მე-2 რაიონის სახ. მოსამართლ
იწვევს მემკვიდრეებს უფლების წარსადგენათ ვასილ ლევანის ძე (
ვე ივანეს ძე) მამფორიას ქონებაზე, გარდაცვალებულ 14 აგვისტოს 1
წელს.
(321—1—1) სახალხო მოსამართლე ა. ჩაჩავა.

დაიკარგა მე აკილინა ბართლომეს ასული ქეიშვილი
ლანდარიშვილმა ჩემი დაბადების და მონათვ
მოწმობა 1915 წლის № 456. ჩაითვალოს გაუქმებულად.
(322—1—1).

დაიკარგა ქუთაისის მთავრობის ქალთა გიმნაზიის დამ
რების ატესტატი 1911 წლის გაცემული ანას
სია გეგენავას სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. (317—2—

ტირაჟი 10,000. ნ. დ. ს. ც. საქართველოს სახალხო საბჭოს უმაღლეს მეურნეობის პოლიგრაფიულ განყოფილების მე-3 სტამბა, კრუზენშტეინის ქ. № 4.